ახალი განათლება

23-29.01.2020

№1 (875) გაგრძელება 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ქუთაისის საჯარო სკოლისა და მაღარიოსკარის სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმა ახალი სემესტრი რეპოზიტორიუმულ სკოლებში დაიწყეს

2

ლალი ჯელაძე

როდის და როგორ გაგრძელდება კარიერული წინსვლის „მარათონი“

გიორგი ჭაუჭიძე: სახელმწიფომ შეიძლება ასეთი რამ შესთავაზოს წინსვლის მსურველთ: წამყვანობისა და მენტორობის მსურველებმა ჩააბარონ ჩვეულებრივი პროფესიული უნარების გამოცდა და იმ უფროს მასწავლებელს, რომელიც 70%-ზე მაღალ ქულას მიიღებს, წამყვანის სტატუსი მიენიჭოს, ხოლო ის წამყვანი მასწავლებელი, რომელიც 80%-ზე მაღალ ქულას მოაგროვებს, მენტორი გახდეს.

ნადია დაბრუნდაშვილი: ახლა ის მდგომარეობაა, თითქოს დამთავრდა „მარათონი“ და ზოგმა მოასწრო ფინიშამდე მისვლა, ზოგმა ვერა, ზოგს გაუმართლა, ზოგს არა, ზოგი გამარჯვებულია, ზოგი არა.

ეკა ცხადაია: რა დაამტკიცა გამოცდებმა? მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა მინიმალური კომპეტენციის დადასტურება საკუთარ საგანში. რა ქნა სახელმწიფომ? ატარა ტრენინგები, ატარა და დიდად ვერ წასწია წინ სწავლების ხარისხი. არაფერი დაეტყოთ სკოლებს. ე.წ. 1-4 კრედიტით გაუფროსებული მასწავლებლებით, როგორც ჩემმა კოლეგამ ბრძანა, *„პრაქტიკულად მოისპო პრაქტიკოს მასწავლებელთა კლასი“*.

კახა ნადირაძე: დიახ, სახელმწიფო ვალდებულია, ნებისმიერ ადამიანს შეუქმნას თანაბარი უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის გარემო. არგუმენტად ვერ გამოდგება – წელს ვერ მოესწრო გამოცდის მომზადება და ამის გამო არ ჩატარდება, ეს ცოტა არასერიოზულია.

დიანა წურწუმია: როცა არ იცი როგორ წარმართო შენი კარიერული წინსვლა, რთულია, ასე ჰაერში არ შეიძლება მასწავლებლის გამოკიდება.

დალი კერესელიძე: პრაქტიკამ ბევრჯერ აჩვენა, რომ კრედიტების დევნა, დადგმული გაკვეთილები და კოპი-პეისტით დაწერილი კვლევები კი არა, თავიანთი საქმის მცოდნე პროფესიონალები, კარგი სახელმძღვანელოები და საინტერესო სასწავლო პროცესი სჭირდება სკოლას. ამ ყველაფერს კი, სახელმწიფოსგან კომპლექსური მიდგომა სჭირდება და არა რაღაც ქიმერების დევნა. ამასობაში მოსწავლეები განზე დარჩნენ...

3

6



ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

როდის და როგორ გაგრძელდება კარიერული წინსვლის „მარათონი“

ლალი ჯელაძე

**2020 წლიდან „მასწავლებლის რეგულირების წესის“ ამოქმედება, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალ შესაძლებლობას გააჩენდა, ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე, სამინისტროს მიერ რეფორმების წარდგინებების სერიის დროს დაანონსდა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2020 წლის უმთავრეს ცვლილებასაც სწორედ ამ წესის ამოქმედებას უკავშირებდა. ბუნებრივია, დაანონსებულმა ცვლილებამ დიდი მოლოდინი გააჩინა პედაგოგიურ საზოგადოებაში. *„2020 წლიდან აღარ იარსებებს აღარც კრედიტძულების დაგროვების სისტემა და აღარც გარე დაკვირვება. მას ჩაანაცვლებს მასწავლებლის რეგულირების წესი, რომლის მიხედვითაც, მასწავლებლობის მსურველებს და მათ, ვისაც სურვილი აქვთ გაიუმჯობესონ მდგომარეობა, გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, ხოლო პროფესიულ საჭიროებას სკოლა დაადგენს. პროფესიული საჭიროებისთვის მასწავლებელი რამდენიმე ტრენინგს გაივლის, ოღონდ ამაში კრედიტძულებს აღარ მიიღებს.“* – აცხადებდა ბერიკა შუკაკიძე, 2019 წლის 8 მაისს, ჩვენი გაზეთისთვის მოცემულ ინტერვიუში. მისივე თქმით, პროფესიული გადამზადება მუდმივად საჭიროა, მაგრამ მასწავლებლებზე აღარ იქნება ზეწოლა, რომ დაგროვონ კრედიტები. *„რაც შეეხება საფეხურებრივ წინსვლას, ეს გამოცდით განხორციელდება. ვმუშაობთ გამოცდის ასეთ ტიპზე: მაგალითად, ვარ უფროსი მასწავლებელი და მინდა გავხდე წამყვანი ან მენტორი, ამისთვის მომიწევს პროფესიული უნარების რთული კატეგორიის ტესტის ჩაბარება. პროფესიულ უნარებში ტესტი რამდენიმე კატეგორიად დაიყოფა, საგნის გამოცდა კი ერთი ტიპის იქნება. საგანში საშუალო გარიერად 50 პროცენტი განისაზღვრება, იგივე გარიერი დაწესდება პროფესიულ უნარებშიც.*

ახალი წესის მიხედვით, გვექნება ორი გამოცდა: საგნის კომპეტენციის დადასტურება და პროფესიული უნარები. პროფესიულ უნარებში სამი ტიპის გამოცდა იგეგმება – პირობითად, I -II -III კატეგორიის. რომელ კატეგორიასაც ჩააბარებს მასწავლებელი, იმ კატეგორიის შესაბამის სტატუსს მიიღებს. მაგალითად, თუ უფროსი მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ გახდეს პირდაპირ მენტორი და აღარ სურს წამყვანი მასწავლებლობა, მენტორისთვის განკუთვნილ ტესტს აირჩევს და აღარ მოუწევს ლოდინი, რომ ჯერ წამყვანი გახდეს და შემდეგ მენტორი.“

თუმცა, როგორც ირკვევა, 2020 წლისთვის ახალი ტიპის გამოცდა აღარ ჩატარდება, ამის მიზეზად კი ის ფაქტი სახელდება, რომ გამოცდის მომზადება ვერ მოესწრო. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი სოფო გორგოძე ადასტურებს, რომ ეს გადაწყვეტილება განათლების სამინისტრომ უკვე მიიღო.

ცნობილია გადაწყვეტილება, რომ ახალი ტიპის გამოცდა არ ჩატარდება, მაგრამ გაურკვეველია, რა სახით შეძლებენ ან შეძლებენ თუ არა საერთოდ, 2020 წელს, უფროსი და წამყვანი პედაგოგები სტატუსის ამაღლებას?

როგორი იქნება მასწავლებლებისთვის 2020 წელი კარიერული ზრდის თვალსაზრისით?

პრაქტიკოსებს წინსვლისთვის კიდევ ერთი შანსი მისცეს და ისინი ზაფხულში ისევ შეეცდებიან დაადასტურონ კომპეტენციები. უფროსი მასწავლებლების ნაწილი კი, რომლებსაც მხოლოდ გარე დაკვირვების გავლა დარჩათ, ეტაპობრივად, წლის ბოლომდე, გაივლიან გარე დაკვირვებას და აიმაღლებენ სტატუსს. რაც შეეხება წამყვან მასწავლებლებს, რომელთაც მენტორობა სურთ – მათთვის ჯერჯეროობით გაურკვეველია, რა უნდა გააკეთონ მთელი წლის განმავლობაში სტატუსის ასამაღლებლად. როგორც თავად ამბობენ, პროცესი ერთი წლით დაპაუზდა. ასევე გაურკვეველია იმ უფროსი მასწავლებლების კარიერული წინსვლის საკითხიც, რომლებმაც ახლა აიმაღლეს სტატუსი და იმ მასწავლებლების გედიც, რომლებიც სექტემბრიდან შევიდნენ სისტემაში. ეს მოცემულობა გარკვეულ უკმაყოფილებას და გულისწყრომას იწვევს ჩამოთვლილი კატრეგორიის პედაგოგებში. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მათ კიდევ ერთი წელი მოუწევთ ლოდინი რაზე ჩამოყალიბდება საბოლოოდ სამინისტრო.

დღეის მდგომარეობით, სისტემაში სულ 59 952 მასწავლებელია, აქედან 14 344 პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებლად რჩება, რაც შეეხება მაღალი სტატუსის მქონე პედაგოგებს, მათი სტატისტიკა ასეთია: უფროსი მასწავლებელი – 37 460; წამყვანი მასწავლებელი – 2 908 ; მენტორი მასწავლებელი – 261.

რატომ ფერხდება კარიერული წინსვლა და რა გამოსავალს ხედავენ პედაგოგები?

გიორგი ჭაუჭიძე
მარნეულის №2 საჯარო სკოლის ქართულის
როგორც მეორე ენისა და ისტორიის მასწავლებელი:

იცის ღმერთმა, თავიდანვე მასწავლებელთა 80%-იანი ჩაჭრების წინააღმდეგი ვიყავი და ძლიერ გამიხარდა 1 კრედიტის შემოღება ჯეჯელავას მიერ. როგორც ამ დღეებში გაირკვა, პრაქტიკულად მოისპო პრაქტიკოს მასწავლებელთა კლასი. მით უფრო მიუტევებელი და უსამართლოა წამყვანობისთვის და მენტორობისთვის გზის დახშობა წელსაც.

გასაგებია, რომ სამენტორო გამოცდებს მომზადება სჭირდება. რადგან სახელმწიფომ ეს ვერ მოახერხა წელს, ასეთი რამ შესთავაზოს წინსვლის მსურველთ: წამყვანობისა და მენტორობის მსურველებმა ჩააბარონ ჩვეულებრივი პროფესიული უნარების გამოცდა და იმ უფროს მასწავლებელს, რომელიც 70%-ზე მაღალ ქულას მიიღებს, წამყვანის სტატუსი მიენიჭოს, ხოლო ის წამყვანი მასწავლებელი, რომელიც 80%-ზე მაღალ ქულას მოაგროვებს, მენტორი გახდეს.

ვფიქრობ, თუკი სახელმწიფო წელსვე ვერ შესთავაზებს მასწავლებლებს წინსვლის გზას, ამ ვარიანტის განხილვა ეგების.

ნადია დაბრუნდაშვილი
ხაშურის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი:

მიუხედავად იმისა, თუ რამდენნლიანი გამოცდილება გაქვს ამა თუ იმ პროფესიაში, ნებისმიერ სპეციალობაში პროფესიული წინსვლა და განვითარება აუცილებელია. ეს განსაკუთრებულად პედაგოგის პროფესიას ეხება, მით უმეტეს, ჩვენს დროში, როცა მოსწავლეები, თანამედროვე ტექნოლოგიების და კომუნიკაციის უამრავი ახლებური საშუალებების გამოყენებით, ხშირად მასწავლებლებს უსწრებენ ამა თუ იმ სფეროში – სიახლეების გაცნობით, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით და ხშირად წარმატებების მოპოვებითაც. ამიტომ ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შემოთავაზება არც უცხო და არც მიუღებელი ყოფილა, პირიქით, პირველივე ეტაპზე აქტიურად ჩავერთე პროცესში.

ვერ დავეთანხმები მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სქემის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მოსწავლეებს გვერდზე ტოვებდა, რადგან სქემის ფარგლებში განსახორციელებული თითოეული აქტივობა, სწორედაც რომ მოსწავლეთა ჩართულობით და მათთან მუშაობით, კლასში ან საკლასო ოთახის გარეთ, უნდა განხორციელებულიყო. სხვა საკითხია თუკი ვინმე მოსწავლეების ჩართვას არ ახდენდა ამ პროცესში, აქტივობებს მხოლოდ დოკუმენტებით, ფორმალურად აღრიცხავდა და ყველაფერი მხოლოდ ჩანაწერებში ხდებოდა და რჩებოდა.

დადებითად ვაფასებ ჩვენ მიერ გავლილ პროფესიული განვითარების ტრენინგების უმეტესობას, ჩემთვის თითოეული მათგანი საკმაოდ დიდი სარგებლის მომტანი იყო როგორც პროფესიული განვითარებისათვის, ასევე მიღებული ცოდნით მოსწავლეებთან მუშაობაში, სხვადასხვა მეთოდების დანერგვისა და გამოყენებისათვის.

რადგან გარე დაკვირვების გავლის პირველივე ეტაპისათვის, რამდენიმე სხვა მასწავლებელთან ერთად, მასწავლებლის სახლის გარე დამკვირვებლად შემარჩიეს, ინტერესთა კონფლიქტის გამო, პროცესებს ერთი სემესტრით ჩამოვრჩი. ვგეგმავდი, რომ შემდეგში გარე დაკვირვებასაც მოვასწრებდი და მენტორობისთვის საჭირო აქტივობებსაც, თუმცა, აღმოჩნდა, რომ პროფესიული განვითარების სქემით მენტორის სტატუსის მისაღებად წინსვლას ვეღარ ვასწრებდი და ამისთვის გამოცდის ჩაბარება მომიწევდა. არც ეგაა პრობლემა, მაგრამ გამოცდის ჩაბარების პროცესიც, როგორც ჩანს, გახანგრძლივდა და ჯერ უცნობია, როდის და რა ფორმატით ჩატარდება კარიერული წინსვლისთვის განსაზღვრული გამოცდები.

ახლა ის მდგომარეობაა, თითქოს დამთავრდა „მარათონი“ და ზოგმა მოასწრო ფინიშამდე მისვლა, ზოგმა ვერა, ზოგს გაუმართლა, ზოგს არა, ზოგი გამარჯვებულია, ზოგი არა. არადა მოსწავლეებთან მუშაობა და აქტივობების განხორციელება მუდმივი პროცესია და თუ ერთ ეტაპზე ეს იყო განვითარებისა და წინსვლის პირობა, რატომ არ უნდა გაგრძელებულიყო, სანამ ვინმეს მასში მონაწილეობის სურვილი ჰქონდა? მით უმეტეს, როცა მასში მოსწავლეთა ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება ამ პროცესის თანმდევი და აუცილებელი პირობაა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის განხორციელების ერთბაშად შეჩერება იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ სქემამ ამ სახით არ გაამართლა და ახლა ეს ყველაფერი გამოცდის თუ სხვა აქტივობების სახით უნდა გაგრძელდეს. სასურველი იქნებოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მოქმედება გახანგრძლივებულიყო მანამ, სანამ გამოცდების საკითხი საბოლოოდ არ გახდებოდა ნათელი. უფრო მეტიც, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, არჩევანი დაეტოვებინათ მასწავლებლებისათვის, ვის როგორი სახით სურდა პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა – გამოცდის სახით თუ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მუშაობით. მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებაც უფრო საინტერესო იქნებოდა პარალელურ რეჟიმში, ორივე ტიპის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მსვლელობის პროცესში.

მიმაჩნია, რომ ჩვენს სისტემაში რამის შეცვლისას (თუ, რა თქმა უნდა, ზიანის მომტანი და სასწრაფოდ შესაწყვეტი არ არის), ხისტად შეწყვეტას ყოველთვის სჯობს თანდათანობით, ეტაპობრივად გადასვლა.

ეკა ცხადაია
მარნეულის №2 საჯარო სკოლის
ქართული ენის მასწავლებელი:

ყველა მასწავლებლის უწყვეტი განვითარების შესაძლებლობას რომ სახელმწიფო თანაბრად ვერ ქმნის, ვფიქრობ, გადაჭარბებული შეფასებაა. სქემის ვადებისა და მასში ჩართვის შესახებ ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყო ინფორმაციაც და საშუალებაც. ყველა სფეროში არის კადრი, რომელიც არ ელოდება რას შესთავაზებს მას სახელმწიფო ან სხვა დამსაქმებელი. ამიტომ დამოუკიდებლად ცდილობს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების სრულყოფას. შინაგანი მოტივაცია, გნებავთ, ამბიცია, გნებავთ მაძიებელი ხასიათი აიძულებს მას იყოს სხვებზე ერთი ნაბიჯით წინ. რა თქმა უნდა, მასწავლებლებშიც არიან ასეთები და მათი აქტიურობა სოციალური ქსელებიდანაც მშვენივრად ჩანს – ქმნიდნენ ბლოგებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ტუტორიალებს, აქტივობათა ბანკებს, რესურსებს, ატარებდნენ და ესწრებოდნენ ტრენინგებს, ვითარდებოდნენ პროფესიულად და სხვებსაც აძლევდნენ განვითარების საშუალებასაც და სტიმულსაც. ბუნებრივია, ეს ყველაფერი მათი მუშაობის შედეგზე აისახა.

რა გასაკვირია, რომ სქემის ამოქმედების შემდეგ, მათ მეტი აქტივობა ჰქონდათ მარაგში. შესაბამისად, უფრო ადრე დაწინაურდნენ. შეიძლება ითქვას, რომ პირიქითაც მოხდა. ასეთი მაძიებელი მასწავლებლები ერთგვარად დაიჩაგრნენ, რადგან სახელმწიფომ მათ 2011 წლიდან 2015 წლამდე ნამუშევარი 6 კრედიტამდე დაუყვანა. ეს 6 კრედიტი მარტივად დააგროვა ნაკლებად მონდომებულმა ადამიანმა, სულ რაღაც, 1 წელიწადში. ერთგვარი ფრუსტრაცია მაშინაც გაჩნდა, მაგრამ მასწავლებელთა ნაწილს საკუთარ განვითარებაზე უარი არ უთქვამს და კვლავ 1 ნაბიჯით აღმოჩნდნენ წინ.

პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის მუდმივი შეღავათების, გადავადებების, წელიწადში ორჯერ გამოცდების შეთავაზების პოლიტიკა გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო დაინტერესებულია, სკოლაში ამ სტატუსის ადამიანი არ იყოს, არა ჩანაცვლებისა და უკეთესი კადრის ხარჯზე, არამედ მათი გაუფროსების გზით.

სქემამდე სტატუსის შეცვლა მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდით იყო შესაძლებელი, რაც, ჩემი აზრით, უფრო ობიექტური იყო. დიახ, გამოცდა არ ამოწმებს პრაქტიკულ უნარებს და მისი ჩაბარება კარგ მასწავლებლობას არ ნიშნავს, მაგრამ თუ საკუთარ საგანს ვერ ფლობს ადამიანი მინიმალურ დონეზე, არ მგონია, რომ ის პროფესიონალი იყოს. პროფესიონალიზმი ცოდნასაც გულისხმობს და ცოდნის ბავშვებამდე მიტანის უნარსაც.

რას ამოწმებს გამოცდით სახელმწიფო? დავუშვათ, თეორიულ ცოდნას. რატომ აკეთებს ამას სახელმწიფო? 1. გაარჩიოს კარგი და ნაკლებად კარგი კადრი; 2. მოტივირებული გახადოს ნაკლებად კარგი, გახდეს კარგი; 3. კარგს მისცეს სტიმული და მინიმალურად მაინც დაეხმაროს ფინანსურად; 4. დაინტერესოს მასწავლებელი, თავადაც ისწავლოს; 5. ყველაფერმა კი გაუმჯობესოს სწავლების ხარისხი.

რა დაამტკიცა გამოცდებმა? მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა მინიმალური კომპეტენციის დადასტურება საკუთარ საგანში. რა ქნა სახელმწიფომ? ატარა ტრენინგები, ატარა და დიდად ვერ წასწია წინ სწავლების ხარისხი. არაფერი დაეტყოთ სკოლებს. პირიქით, ბოლო კვლევების მიხედვით, რამდენიმე პუნქტით კიდევ უფრო დაიწია წერა-კითხვა-გაგებისა და ლოგიკურმა კომპეტენციებმა მოსწავლეებში. სანაცვლოდ, ე.წ. 1-4 კრედიტით გაუფროსებული მასწავლებლებით, როგორც ჩემმა კოლეგამ ბრძანა, *„პრაქტიკულად მოისპო პრაქტიკოს მასწავლებელთა კლასი”*. რა არის ამაში სასიხარულო? მხოლოდ ერთი – სახელფასო დანამატს მიიღებს უფრო მეტი, ვიდრე შარშან. მაგრამ შეიცვალა მათი დამოკიდებულება, კომპეტენცია, სწავლების ხარისხი, დაეტყო მოსწავლეთა შედეგებს? რა თქმა უნდა, არა. ისევ ბოლო კვლევას დავიმოწმებ. ამიტომ მიმაჩნია, რომ 1 კრედიტით გაუფროსება არ იყო სწორი სტრატეგია.

ჩემი აზრით, სქემა ძალიან ბიუროკრატიული მექანიზმი იყო, უამრავი დოკუმენტის წერა-შევსება-შეფასებას მოითხოვდა. როცა შემფასებელი და შესაფასებელი ერთი და იმავე ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან, ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობების ფონზე, გაჭირდება ობიექტურობის ხარისხის შენარჩუნება. მით უფრო, თუ შემფასებელი ხანდახან სტატუსითაც და კომპეტენციითაც აშკარად ნაკლებია შესაფასებელ სუბიექტზე. ამან წარმოშვა ე.წ. კრედიტების მოპოვების დაუოკებელი სწრაფვა. მთავარი გახდა არა საკუთარი პრაქტიკის სრულყოფა და პროფესიული ზრდა, არამედ, როგორმე გამოცდაზე 1 კრედიტის მიღება. დანარჩენს სკოლა მიხედავდა, სკოლა მისცემდა შესაძლებლობას დაწინაურებულიყო, ხშირ შემთხვევაში, არარსებული, შეთხზული აქტივობებით. ეს იყო ის შავი ხვრელი, რომლითაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა ისარგებლა. კარგია, როცა ძლიერი პედკორპუსი გყავს. თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით შეიარაღებული, მაგრამ ხელოვნურად სტატუსშეცვლილი მასწავლებლებით სწავლების ხარისხის გაუმჯობესება კიდევ უფრო დიდხანს გაჭირდება.

კახა ნადირაძე
ქუთაისის №29-ე საჯარო სკოლის
სამოქალაქო განათლების მასწავლებელი:

არ მიმაჩნია, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი ვარ, მაგრამ სახელმწიფოს გონივრულ ვადაში ჰქონდა იმის საშუალება, რომ ყველა მასწავლებლისთვის შეექმნა თანაბარი მოტივაცია და საზრუნავი სტატუსის ამაღლებისთვის. დიახ, სახელმწიფო

პროფესიული განვითარება

ვალდებულია, ნებისმიერ ადამიანს შეუქმნას თანაბარი უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის გარემო. აქამდე ამ გარემოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით ქმნიდა, თუმცა, ეს სქემა არ ეხება სკოლაში წელს შესულ მასწავლებლებს, რადგან მათი ლტოლვა პროფესიული განვითარებისკენ დაპაუზებულია უკვე ერთი სემესტრის განმავლობაში. მეც ამ მასწავლებლების რიცხვს მივეკუთვნები, რადგან სკოლაში მასწავლებლად სექტემბერში შეევედი უფროსი მასწავლებლის სტატუსით. ფაქტობრივად, ახლა არაფერს ვაკეთებ პროფესიული ზრდისთვის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩვენი სამოქალაქო კლუბი ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაციის „მომავლის თაობის“ პროექტში – სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან ვთანამშრომლობთ. როგორც გითხარით, 2014 წლამდე სერტიფიცირებული უფროსი მასწავლებელი ვარ, მაგრამ სქემის ფარგლებში ახლა ვერანაირ საქმიანობას ვეღარ ვახორციელებ. მიუხედავად ამისა, მაინც ვაკეთებთ და ვმუშაობთ საკლასო და საკლუბო პროექტებზე. სულაც არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ კრედიტებისთვის უნდა მუშაობდეს მასწავლებელი, მაგრამ, როცა ანაზღაურების ზრდა სწორედ პროფესიულ წინსვლაზეა მიბმული, ბუნებრივად გიჩნდება სურვილი, აიმაღლო სტატუსი. ცალსახად, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ პროფესიული განვითარება მხოლოდ სავალდებულო კრედიტების დაგროვება არ არის, ეს არის სიახლეების მიღება, კოლეგებთან თანამშრომლობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ა.შ. მაგრამ სტატუსის მიმართულებით განვითარების სურვილიც პროფესიულ ზრდაში მოიაზრება.

ზოგადი განათლების შესახებ კანონშიც არის მითითებული, რომ მასწავლებლებს ევალებათ სქემაში ჩართვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოცემულ მომენტში, ეს ყველა კატეგორიის მასწავლებლისთვის შეუძლებელია. კანონი იმასაც ავალდებულებს, რომ ყველა მასწავლებელი თანაბარ მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს.

რას ნიშნავს უწყვეტი პროფესიული განვითარება? მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს პირდაპირ უწერია მისიაში, რომ მან უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, აქედან გამომდინარე, არგუმენტად ვერ გამოდგება – წელს ვერ მოესწრო გამოცდის მომზადება და ამის გამო არ ჩატარდება, ეს ცოტა არასერიოზულია. თუმცა, ამ პრობლემის მოგვარება, ჩემი შეხედულებით, სულაც არ არის დიდ სირთულეებთან დაკავშირებული. მინდა დავეთანხმო გიორგი ჭაუჭიძის მოსაზრებას, რომელმაც გარკვეული გამოსავალი შემოგვთავაზა. ჩატარდეს გამოცდა ძველი სისტემით, ძველი ტესტირებით, ვიდრე ახალ ტესტებს შექმნიან და ეს ხელოვნური შეფერხებაც აღარ იქნება. ვინც დააგროვებს მაღალ ქულებს – 70-80 პროცენტზე მეტს, შესაბამისად, მისთვის უფრო მაღალი სტატუსი განისაზღვროს, ხოლო ვინც მხოლოდ დაწესებული ზღვრის გადალახვას შეძლებს, უფროსი მასწავლებელი გახდეს. ვფიქრობ, ეს ძალიან მარტივი გამოსავალია, ვიდრე ახალ ტესტებს შექმნიან. თან, არა მგონია, 10-წლიანი გამოცდილებით და საკმაოდ დიდი ბაზით გაუჭირდეთ საკითხის ამგვარად მოგვარება. სულაც არ ვთვლი, რომ სქემაში რაღაც ცვლილებების განხორციელებაა საჭირო, უბრალოდ, გარდამავალ პერიოდში, ასეთი მიდგომის გამოყენება კარგი იქნებოდა. დაანონსდა, რომ სტატუსის ამაღლება ახლა შეუძლებელია, რადგან გამოცდები მოსამზადებელია, კი ბატონო, შექმნან ახალი ტესტები, მაგრამ მანამდე დროს ნუ დაგვაკარგინებენ, რა რესურსიც აქვთ, იმით ჩაატარონ გამოცდა.

ძალიან მომწონს, რომ სამინისტრო მაქსიმალურად უწყობს ხელს პრაქტიკოსებს სკოლა არ დატოვონ, მათ კიდევ ერთხელ მისცა გამოცდაზე გასვლის შანსი, ასე ვთქვათ, რბილად და „მეგობრულად“ ექცევიან. ეს ძალინ კარგია, რადგან დასაკარგი მასწავლებლები არ გვყავს. მაგრამ, ასეთი მიდგომების დაწესება არც სხვა სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის გვაწყენდა. მაღალი სტანდარტების შემოტანამდე, რასაც სამინისტრო გეგმავს, არსებული ტესტების ბაზით ჩაატარონ გამოცდები და უფრო მაღალი ბარიერი დააწესონ. ჩემი აზრით, ეს მართლაც საუკეთესო გამოსავალია, იმასაც დავამატებ, რომ ტესტებში გაზარდონ მეთოდური ნაწილი, რაც მასწავლებლის პროფესიონალიზმს კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს. დროა, ზაფხულისთვის მაინც იქნეს მიღებული ადეკვატური ზომები, რათა პროფესიული განვითარების უწყვეტობა უზრუნველყოფილი იყოს თანაბრად და არა დისკრიმინაციულად.

დიანა წურწუმია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დროზე გაირკვეს რა უნდა გავაკეთოთ – ჩემს შემთხვევაში, რა უნდა გააკეთოს იმ წამყვანმა მასწავლებელმა, რომელსაც მენტორობა სურს 2020 წლის განმავლობაში. ერთი წელი მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა არ იცი როგორ წარმართო შენი კარიერული წინსვლა, რთულია, ასე ჰაერში არ შეიძლება მასწავლებლის გამოკიდება. ფაქტობრივად, ამ სიტუაციაში უფრო იჩაგრება წამყვანი მასწავლებელი, რომელსაც მენტორობა სურს, წინსვლა უნდა, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევა. მაინცდამაინც არ არის იდეაფიქსი, რომ გავხდე მენტორი, მაგრამ, გარკვეულწილად, ეს ჩემს მოტივაციაზე ცუდად აისახება. თუმცა, ვერ გეტყვით, რომ მოტივაცია დამიკარგა და აღარაფერს ვაკეთებ ხარისხიანი სწავლებისთვის. ნამდვილ პედაგოგს ეს არ დაემართება, მაგრამ წყენას და გულისტკივილს იწვევს. ისევ ის პედაგოგები ვიჩაგრებით, რომლებმაც მართლა ჩავაბარეთ გამოცდები და კრედიტების დაგროვებაში არ დავკარგეთ წლები. არასდროს ამიბზეკია ცხვირი, უცებ რომ ჩავაბარე გამოცდები, ავიღე სერტიფიკატები, წარმატებით დავადასტურე კომპეტენცია, რადგან ეს ჩვეულებრივად მიმაჩნდა და დღესაც ასე მიმაჩნია. მაგრამ რატომ უნდა ველოდო ასე გაურკვევლად რაღაცას? მოგვცენ პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის საშუალება... რაღაც ვერ არის ჩვენთვის კარგი... ვფიქრობ, ნიჭიერება იჩაგრება.

დალი კერესელიძე

გერმანული ენის მასწავლებელი:

გულდასაწყვეტია, რომ მასწავლებლებმა უდიდესი შრომა სქემის აქტივობების განხორციელებაში და კრედიტების დაგროვებაში ჩადეს მაშინ, როცა შეიძლებოდა ეს შრომა ბავშვებს მოხმარებოდა. პრაქტიკამ ბევრჯერ აჩვენა, რომ კრედიტების დევნა, დადგმული გაკვეთილები და კოპი-პეისტით დაწერილი კვლევები კი არა, თავიანთი საქმის მცოდნე პროფესიონალები, კარგი სახელმძღვანელოები და საინტერესო სასწავლო პროცესი სჭირდება სკოლას. ამ ყველაფერს კი, სახელმწიფოსგან კომპლექსური მიდგომა სჭირდება და არა რაღაც ქიმერების დევნა. ამასობაში მოსწავლეები განზე დარჩნენ...

ჩვენი განათლების სისტემა ძირფესვიანად შესაცვლელია. დავიწყოთ იმით, რომ სახელმძღვანელოები არ გვივარგა. ჩვენ, უცხო ენების მასწავლებლები, ცოტა განებივრებულები ვართ იმ მხრივ, რომ ჩვენი სახელმძღვანელოები უცხოეთში იბეჭდება. აქედან გამომდინარე, ხარისხიც უკეთესია. საქართველოში შექმნილი სახელმძღვანელოები, უბრალოდ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მე მყავს სამი შვილი, ორი უკვე სტუდენტია, ერთი – სკოლის მოსწავლე, მეშვიდეკლასელი. თქვენ რომ განახათ გეოგრაფიის წიგნში რა ტექსტებია შეტანილი, გაოცდებით. თუკი ვინმე დამიმტკიცებს, რომ 12 წლის ბავშვისთვის ეს ტექსტი საინტერესოა და რაღაცის მომცემი, ხელებს ავწევ და ვიტყვი, რომ მართალი არა ვარ. ვიკიპედიიდან კოპირებით აღებული მასალები არა მგონია ბავშვებისთვის საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდეს საგნის სწავლებისას. ეს ერთი დიდი პრობლემა. მეორე პრობლემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაა. რას ვეძახით ჩვენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას? მე მაქვს იმის ფუფუნება, რომ გოეთეს ინსტიტუტში დავესწრო ტრენინგებს, რომლებიც, სხვათა შორის, ძალიან განსხვავდება მასწავლებელთა სახლის მიერ შემოთავაზებული ტრენინგებისგან. ასევე მაქვს საშუალება ტრენინგები გავიარო გერმანიაში, ავსტრიაში და ეს ყველაფერი უფასოდ – გოეთეს ინსტიტუტი და გერმანიის განათლების სისტემა აფინანსებს. რომ ვადარებ ამ შესაძლებლობას მასწავლებლის სახლში ჩატარებულ ტრენინგებს, პირდაპირ გეტყვით, ისეთი განსხვავებაა, როგორც ცა და დედამიწა.

კიდევ ერთი ნიუანსი – ერთ-ერთ გამომცემლობაში მთარგმნელად ვმუშაობ. ერთი წლის წინ, გერმანულიდან ვთარგმნეთ მათემატიკის სახელმძღვანელოების სერია 1-დან მე-6 კლასამდე, შესანიშნავი სახელმძღვანელოა. პროექტზე ძალიან დიდხანს ვიმუშავეთ. სამინისტრომ გრიფი მოგვცა, მაგრამ ზუსტად ერთ კვირაში უარი გვითხრა. იცით არგუმენტი რა იყო? თურმე წიგნი ძალიან კარგია, მაგრამ ქართველ მასწავლებლებს არა აქვთ იმის უნარი, რომ ამ წიგნით ასწავლონ. ეს სრული აბსურდია, წიგნი ჩავარდა იმიტომ, რომ ვიღაცებს ბევრი ფული აქვთ გადახდილი, რომ მათი წიგნი სკოლაში დომინანტი იყოს. ეს არის ჩვენი რეალობა.

ისევ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მივუბრუნდები და ვიტყვი, რომ კრედიტების დევნამ შედეგი იცით რატომ ვერ გამოიღო? იმიტომ, რომ თვითონ მასწავლებელი ჩააგდო ამ პროცესმა ძალიან ცუდ მდგომარეობაში. არ შეიძლება ადამიანი, რომელმაც მომავალი თაობა უნდა გაზარდოს, მუდმივად დააკნინო, დაამცირო და ეძახო, რომ მან რაღაც ქულა ვერ დააგროვა, ბარიერი ვერ გადალახა... გამუდმებით მოსთხოვო რაღაც ამტკიცოს. მაგრამ თუკი ამოწმებ და მართლა გინდა რეალობა დაინახო, მაშინ დადგმული გაკვეთილი კი არ უნდა შეამოწმო და იმაში კი არ უნდა დაუწერო ქულები, არამედ ნებისმიერ დროს ნებისმიერ მასწავლებელს უნდა შეუღო საკლასო ოთახის კარი. აი, მაშინ რაც ხდება გაკვეთილზე, ის არის რეალური სასწავლო პროცესი. ნებისმიერი მასწავლებელი (მათ შორის, მეც), რომელსაც ეცოდინება, რომ წინასწარ დაესწრები გაკვეთილზე, ბუნებრივია, ამისთვის მოემზადება. იცით, როგორ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს? ეს მდგომარეობა ვირთხების რბოლას ჰგავს. მუდმივად გვაიძულებენ რაღაც ვამტკიცოთ და თუ ვერ დავამტკიცეთ, მერე გვაქილიკონ, რომ არაპროფესიონალები ვართ. არადა, რეალურად ასე არ არის. ჩემს შვილებს მართლა ბევრი შესანიშნავი მასწავლებელი ჰყავდათ და ახლაც ჰყავს. მათგან ბევრი რამ ისწავლეს, მაგრამ, ასე მგონია, გაცილებით მეტს ისწავლიდნენ, რომ მასწავლებლებს მისცემოდათ საშუალება, დრო მაქსიმალურად სასწავლო პროცესზე, მოსწავლეებზე დაეხარჯათ, ეკეთებინათ საქმე, რომლის კეთებაც ძალიან უყვართ. სახელმწიფო კი ამის საშუალებას არ გვაძლევს, გაუთავებელი ბიუროკრატიული ჩარევებით.

კარგად ვიცი, როგორი ხელფასები აქვთ ჩვენს კოლეგებს, თუნდაც, გერმანიაში ან ავსტრიაში, ისიც კარგად ვიცი, როგორ აფასებენ მათ და როგორ პრესტიჟულ პროფესიად ითვლება პედაგოგობა. აქედან გამომდინარე გეტყვით, რომ ქვეყანა, სადაც ექიმი და მასწავლებელი არ ფასობს, უბრალოდ, ვერ განვითარდება.

ინფორმაცია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **გიორგი გახარიამ** მთავრობის სხდომაზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა სახელფასო ზრდა დააანონსა. პრემიერის განცხადებით: *„პროფესიული განათლების ნაწილში განათლების სამინისტრომ წარმოადგინა საკითხი, რომლის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პედაგოგებს საათობრივი ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაეზრდებათ და მათი საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 1800 ლარი გახდება. ჩვენ ვახორციელებთ სისტემურ რეფორმას განათლების სისტემაში, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალო განათლების კომპონენტი გახლავთ. დღეს, უკვე 2020 წლიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ პროფესიულ განათლებას, რომელიც ჩვენი პრობლემების გადალახვის საფუძველი უნდა გახდეს როგორც დასაქმების თვალსაზრისით, ასევე იმ დისბალანსის აღმოსაფხვრელად, რომელიც ჩვენ შრომის ბაზარზე გვაქვს“.* პროექტი სხდომაზე განსახილველად **მიხეილ ჩხენკელმა** წარადგინა.

პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა განათლების ხარისხის გაუმჯობესება. რეფორმის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებს ანაზღაურება, ჯერ კიდევ 2019 წელს, 11 ლარამდე გაეზარდა, ხოლო ამჟამინდელი ცვლილების შედეგად მასწავლებლის ერთი საათის ანაზღაურება (საბაზო) 15 ლარის ოდენობით განისაზღვრება. აღნიშნული ზრდა 2020 წლის იანვრიდან შეეხება ყველა მასწავლებელს, რომელიც დასაქმებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო დაწესებულებაში (კოლეჯი, უნივერსიტეტი, სკოლა) ან იმ კერძო სასწავლებელში, სადაც ირიცხებიან პროფესიული სტუდენტები სახელმწიფო დაფინანსებით. ეს ცვლილება პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორიდან, წარმოებიდან პროფესიონალი კადრების მოზიდვის საშუალებას იძლევა.

მასწავლებელთა თვიური ანაზღაურება დამოკიდებულია საათობრივ დატვირთვაზე. მათი საშუალო თვიური ანაზღაურება, სრული დატვირთვის შემთხვევაში, ამჟამად, 1300 ლარს შეადგენს, ხოლო ზრდის შემთხვევაში, დაახლოებით, 1800 ლარს მიაღწევს.

აღსანიშნავია, ასევე, რომ სამინისტრო, დიდი ბრიტანეთის „კარგი მმართველობის ფონდის“ დაფინანსებით, მსოფლიო ბანკთან ერთად, მუშაობს „პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ახალი მოდელის“ შექმნაზე, რაც იმის საფუძველი გახდება, რომ მასწავლებელთა ანაზღაურების შემდგომი ზრდა განპირობებული იქნება სწორედ აღნიშნული მოდელის ფარგლებში მასწავლებელთა კვალიფიკაციით, გამოცდილებითა და პედაგოგიური მიღწევებით. ახალი მოდელის დანერგვა დაგეგმილია 2020 წლის ბოლოს.

ბოლო წლებში, დამსაქმებლების ჩართულობით, მომზადდა/გადამუშავდა 100-მდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ახალი პროგრამები ხელს უწყობს კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველყოფას და დაფუძნებულია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე როგორც კოლეჯში, ასევე საწარმოში, რეალურ სამუშაო გარემოში.

აღნიშნული მიდგომის რეალიზაციისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებელი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს და განსაკუთრებით მოთხოვნადია სწორედ პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობის სტიმულირება.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დაინერგა ახალი მოდულური პროგრამები, რომელიც თავისთავად გულისხმობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს.

რეფორმის პარალელურად, აქტიურად დაიწყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაძლებლობების გაუმჯობესება სხვადასხვა მიმართულებით. ბოლო წლებში მასწავლებლები გადამზადდნენ პედაგოგიური უნარების, სტუდენტთა შეფასების ახალი მიდგომების, ინკლუზიური სწავლების მიმართულებით, ასევე, ჩატარდა სპეციალური ტრენინგები რეალურ სამუშაო გარემოში.

2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონზე მეტი გამოყო.

ინფორმაცია

რთული ქცევის მქონე მოზარდებისთვის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულება შეიქმნება

ლალი ჯელაძე

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესი, რომლის მიზანი, ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით, რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენციაა. ახალი წესით განისაზღვრა რეფერირების ეტაპები, რომელიც რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა გამოვლენას, მათი საჭიროებების შესწავლას და შესაბამის პროგრამებში ჩართვას მოიცავს.

დოკუმენტის თანახმად, რთული ქცევის მქონე მოზარდებისთვის შეიქმნება არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულება, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ნახევრად დახურული სააღმზრდელო დაწესებულება“ იქნება. ასეთი დაწესებულების შექმნამდე კი, არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულების ფუნქციებს, 2020 წლის პირველ სექტემბრამდე, ქალაქ სამტრედიის №15 საჯარო სკოლა (სკოლა-პანსიონი) შეასრულებს. სკოლა-პანსიონში 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მყოფი არასრულწლოვნების ამ წესის მიხედვით ხელახალ შეფასებას კი, 2020 წლის პირველ აპრილამდე, ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი განახორციელებს.

მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა ადმინისტრაციული წესით დასჯადი ქმედება გახდა. რეფერირების წესის მიხედვით, ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია – არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სათანადო სპეციალიზაციის მქონე თანამშრომლები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მოწვეულ სხვა სპეციალისტებთან ერთად აფასებენ არასრულწლოვნის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სოციალურ გარემოს, უსმენენ მას, კონსულტაციას უწევენ მის კანონიერ წარმომადგენელს/ფაქტობრივ მზრუნველს, გადაწყვეტილებას იღებენ არასრულწლოვნის რეფერირების, მათ შორის, ამ წესით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების/ცვლილების/შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, წესი ვრცელდება რთული ქცევის მქონე, 10-დან 18 წლამდე ასაკის, არასრულწლოვნებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის მიმართ დაწყებულია განრიდების პროცესი, ან მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, ან სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა. წესი ასევე გავრცელდება 7-დან 14 წლამდე ასაკის იმ არასრულწლოვნებზე, რომლებთან მიმართებაშიც კომპეტენტური უწყებების მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. 10 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნა დაუშვებელია. არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის მიზანშეწონილობის საკითხს განიხილავს ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში შესაძლებელია 10-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის გაგზავნა ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფის შუამდგომლობაში განსაზღვრული ვადით. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთი სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არასრულწლოვანს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, ცენტრის სპციალისტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, გაუხანგრძლივდება არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში ყოფნის ვადა.

„არასრულწლოვნის ვინაობის, ასევე მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია და სხვა პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ ცენტრისა და რეფერირების პროცედურებში ჩართული უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის შესაბამისად,“ – აღნიშნულია დოკუმენტში.

ქართველი მოსწავლეების უპრეცედენტო შედეგი

ლალი თვალაბეიშვილი

მორიგი გამარჯვებით და უპრეცედენტო შედეგით დაბრუნდნენ ქართველი მოსწავლეები ქალაქ ალმატიში გამართულ ჟაუტიკოვის მე-16 საერთაშორისო ოლიმპიადიდან.

ასპარეზობა მიმდინარე წლის 8-12 იანვარს გაიმართა და მასში 21 ქვეყნის 84 გუნდის 600-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ოლიმპიადაში თბილისის კომაროვის 199-ე, ვეკუას 42-ე და ქუთაისის რაზმაძის სახელობის 41-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. ქართველმა მოსწავლეებმა 16 მედალი მოიპოვეს (3 ოქრო, 5 ვერცხლი და 8 ბრინჯაო). 16-დან 13 მედალი (3 ოქრო, 5 ვერცხლი და 5 ბრინჯაო) კომაროველებს ერგოთ, შესაბამისად, კომაროვის სახელობის 199-ე სკოლის გუნდმა მესამე საპრიზო ადგილიც (რეიტინგით მეხუთე ადგილი) მოიპოვა.

ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: თეიმურაზ თოლორაია – აბსოლუტური პირველი ადგილი (მათემატიკა – კომაროვი), **ნიკოლოზ ბირკაძე** (მათემატიკა – კომაროვი) და **ანა ონოფრიშვილი** (მათემატიკა – კომაროვი);

ვერცხლის მედალოსნები: ლუკა მუშკუდიანი (მათემატიკა – კომაროვი), **ზაურ ბოკეველაძე** (მათემატიკა – კომაროვი), **გიორგი ძაძამია** (ფიზიკა – კომაროვი), **არჩილ ბასაძიშვილი** (ინფორმატიკა – კომაროვი) და **გიორგი ჩხაიძე** (ინფორმატიკა – კომაროვი);

ბრინჯაოს მედალოსნები: **ლაშა კვატაშიძე** (მათემატიკა – ქუთაისის რაზმაძის სკოლა), **ნიკა გლუნჩაძე** (მათემატიკა – ვეკუა), **დემეტრე გელაშვილი** (მათემატიკა – ვეკუა), **თამარ კორკოტაშვილი** (მათემატიკა – კომაროვი), **ჯონი თოიძე** (ფიზიკა – კომაროვი), **ლუკა კირთაძე** (ფიზიკა – კომაროვი), **ლუკა კოპაძე** (ფიზიკა – კომაროვი) და **დავით მემარნიშვილი** (ინფორმატიკა – კომაროვი).

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ოლიმპიადაზე, მათემატიკაში, კომაროვის სახელობის №199 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა, თეიმურაზ თოლორაიამ, 255 კონკურსანტს შორის, უმაღლესი ქულა მოიპოვა, 42 შესაძლებლიდან 42 ქულის დაგროვება შეძლო და პირველი ადგილიც ღირსეულად დაიმსახურა. მას მიაჩნია, რომ ეს წარმატება ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვენლოვანია. ქართველმა მოსწავლემ, დღემდე, არაერთ ოლიმპიადაზე იასპარეზა წარმატებით. *„აქამდეც მქონია წარმატებები, თუმცა ეს ყველაზე კარგია ჯერჯერობით. შარშან და შარშანწინ ამ ოლიმპიადაზე ვერცხლის (ინფორმატიკაში) და ბრინჯაოს (მათემატიკაში) მედლები ავიღე. საერთაშორისო ოლიმპიადებზე მათემატიკაში ორი ბრინჯაო მაქვს მოპოვებული, ინფორმატიკაში – ერთი ბრინჯაო; რუმინეთის მასტერზე, მათემატიკაში – ბრინჯაო და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე – ვერცხლი; ეროვნულ ოლიმპიადაზე მათემატიკაში მაქვს პირველი, მეორე და მესამე ადგილები, ფიზიკაში – მესამე ადგილი.“* – ამბობს თეიმურაზ თოლორაია.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მწვრთნელებს შორის გამართულ შეჯიბრში პირველი ადგილი ქართველმა პედაგოგებმა – **ლელა მამულაშვილმა** (მათემატიკა – ვეკუა) და **მიხეილ სოხაშვილმა** (ფიზიკა – კომაროვი) მოიპოვეს, მესამე ადგილი კი **ვახტანგ შეკიშვილმა** (ინფორმატიკა – რაზმაძე), **ლუკა ხიზანიშვილმა** (ფიზიკა – ვეკუა) და **თეიმურაზ კალატოზმა** (ფიზიკა – კომაროვი).



მათემატიკის, ფიზიკისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადიდან 16 მედლით დაბრუნებულ მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს შეხვდა და გამარჯვება მიულოცა განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა**, ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **გენადი მარგველაშვილი**.

„ძვირფასო ახალგაზრდებო, გვეამაყება თითოეული თქვენგანი! თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური განძი. ოლიმპიური მედლებით დაბრუნდით და ჩემთვის, ფაქტობრივად, ოლიმპიური ჩემპიონები ხართ! ასევე, მინდა მივულოცო მასწავლებლებს, რომლებმაც ძალიან გვასახელეს! მართლაც ბრწყინვალე შედეგები გქონდათ ყველას და მინდა ძალიან დიდი წარმატება გისურვოთ! ქართული ფიზიკა-მათემატიკური სკოლა ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი იყო ყოველთვის და ეს ტენდენცია უნდა შევინარჩუნოთ.“ – განაცხადა მინისტრმა და ახალგაზრდებს ისტორიული მეგაპროექტის – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის – შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, იმავდროულად, ამ უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში ჩართვა შესთავაზა: *„თქვენნაირი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ძალიან დიდი ასპარეზი იქნება“.*

პრესტიჟულ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში საქართველოს გუნდების მონაწილეობას და ყველა საჭირო ფინანსურ ხარჯს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შეჯიბრება, წლის განმავლობაში, რამდენჯერმე იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ყოველთვის წარმატებით მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნიდან წარგზავნილები.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ: *„ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ქართველი მოსწავლეების მიერ მიღწეული შედეგები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ოლიმპიადებში. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, შესაბამისად, ფიზიკა-მათემატიკური სკოლების გაძლიერება, ამ სკოლების თანამედროვე ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვა ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას და ხელს უწყობს მათ დაინტერესებას მეცნიერებით“.*

პროექტით სწავლება

გზა ევროპისკენ მათემატიკის გაკვეთილზეც გადის

„ჩემი სამშობლო საქართველოა, ქვეყანა ევროპისა და აზიის გასაყარზე. ზოგს ჰგონია, რომ ჩვენი ადგილი აზიაშია. ყველას გვსურს, რომ აზიასთან ვიმეზობლოთ, მაგრამ ევროპის განუყრელი ნაწილი ვიყოთ. საქართველოში ოჯახი ძალიან ძვირფასი და წმინდაა. ჩემი ოჯახიც ტრადიციულია, ქართული, თუმცა საუკეთესო ქართული ტრადიციები თანხვედრაშია ევროპულთან. ევროპაც ხომ სამართლიანობას, ურთიერთპატივისცემას, ძლიერისგან სუსტის დაცვას ნიშნავს. ჩვენ დიდი ხანია გვსურს, რომ ევროპა ჩვენს ოჯახში იყოს და ჩვენც ევროპულ ოჯახში ვიყოთ.“ მიხარია, ასე რომ ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის 75,5% (2008 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები). კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ მე, როგორც მშობელი, მასწავლებელი, საზოგადოების რიგითი მოქალაქე უნდა ვფიქრობდე და ვზრუნავდე საქართველოს, ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და წარმატებაზე. კარგად მესმის სად არის მისი ადგილი, მშვიდობიანი და წარმატებული ხვალინდელი დღისათვის. ისმის კითხვა: რატომ ევროკავშირი? რატომ ნატო? ერთხმად უნდა ვაღიაროთ, მას სხვა ალტერნატივა არ აქვს. ჩვენი ადგილია აქ, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი და წარმატებული წინსვლისათვის, რადგან ჩვენ, ქართველები, ფუტკრებივით ვიმუშავებთ მშვიდობიან საქართველოში, დაცული იქნება ჩვენი სუვერენიტეტი და არ შეგვილახავენ თავმოყვარეობას. კითხვა: თუ ევროპული ღირებულებების ხელშეწყობა, დემოკრატიული იდეების პოპულარიზაცია შეუძლია გეოგრაფიის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, სად არიან ამ დროს მათემატიკის მასწავლებლები? მათემატიკის სიღრმისეული ცოდნა, ევროკავშირის და ნატო-ს როლისა და მნიშვნელობის გააზრება, მათემატიკური აზროვნება და ლოგიკური მსჯელობა, მათემატიკურად სწრაფი მოქმედება და სწორი პასუხები – უკვე სწრაფი მოძრაობაა ევროპისკენ მიმავალ გზაზე.

პროექტის აღწერა და განხორციელება: პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ სხვადასხვა აქტივობები. მოკლედ მიმოვიხილავ თითოეულ მათგანს.

შემაჯამებელი მეცადინეობა მე-9 კლასში, თემაზე – „კვადრატული ფუნქცია და ევროკავშირი“.

მიზანი: კვადრატული ფუნქციის გამოკვლევა მისი გრაფიკის გამოყენებით; პრობლემის გადასაჭრელად საჭირო სტრატეგიების, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამოყენება-განვითარება + როგორ ვითარდება საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან; საზოგადოების ინფორმირება და გააქტიურება.

გაკვეთილს ესწრებოდნენ სამოქალაქო განათლების, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. კლასი დაყოფილი იყო წყვილებად (მუშაობდა 14 წყვილი), თითოეულ წყვილს დავალებად ჰქონდა თითო ამოცანა, რომელიც შედგენილი იყო ევროკავშირთან დაკავშირებულ თემატიკაზე – ევროკავშირის შექმნა, განვითარება და მნიშვნელობა. დასმულ კითხვაზე პასუხი შესაძლებელი იყო მათემატიკური ამოხსნის შემდეგ. გთავაზობთ ერთ ნიმუშს მოსწავლეების მიერ ამოხსნილი ამოცანებიდან: *„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომლის პარაფირებას 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი, ბევრ ახალ შესაძლებლობას აძლევს საქართველოს. შეთანხმება ეს არის თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, რაც ნიშნავს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოში წარმოებული ყველა პროდუქტის გატანას, საბაჟო გადასახადის გარეშე. ეს არის დაშვება 500-მილიონიან ბაზარზე, ეს არის გზა, რითაც ევროკავშირის 28 ქვეყანაში შეგაქვს შენი პროდუქტი, ეს არის უტარიფო ვაჭრობა 28 ქვეყანასთან, ეს არის შესაძლებლობა მოიძიო ინვესტიციები და გაზარდო ვაჭრობა“.* საინტერესოა, მაინც რამდენ შესაძლებლობას აძლევს ასოცირების შეთანხმება საქართველოს, ამისათვის ვიპოვოთ $Y=X^2+X-2$ და $Y=(X+3)(X-4)$ ფუნქციათა გრაფიკების გადაკვეთის წერტილის კოორდინატები და გამოვთვალოთ X^2+Y+7 გამოსახულების მნიშვნელობა, სადაც **X** აბცისაა, ხოლო **Y** – ორდინატა. პრეზენტაციისათვის წყვილს ეთმობოდა 2-3 წთ. შემდეგ გაიმართა დისკუსია: რატომ ევროკავშირი? რას მოგვიტანს ევროკავშირი? რა მიგვაქვს ევროკავშირში? გაკვეთილი დასრულდა საღი აზრის გამარჯვებით: „ჩვენ გვინდა ევროკავშირის დიდი ოჯახის წევრობა“.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობა: „ეკოლოგიური პრობლემები და საზოგადოება“. ავტორები მე-10 კლასის მოსწავლეები იყვნენ: **დიანა ცივაძე**, **დიანა დიმიტრაძე** და **მარი დიმიტრაძე**. ვადა: ორი თვე.

მიზანი: მოვაგვაროთ ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც დიდი დაბრკოლებაა ჩვენთვის ევროპისკენ მიმავალ გზაზე; ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. პროექტი სამი მიმართულებით დამუშავდა: გარემოს დანაგვიანება და ჩვენ; ტყის ეკოლოგიური პრობლემები; შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები. მოსწავლეებმა მონაცემები შეაგროვეს როგორც მოსახლეობის გამოკითხვით, ასევე სოციალური ქსელის გამოყენებით, შემდეგ ააგეს სიხშირეთა ცხრილი და სხვადასხვა სახის დიაგრამები. ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია, რის შედეგადაც მივიღეთ დალაგებული სკოლის შემოგარენი და დასუფთავებული ზღვის სანაპირო.







IX, X და XI კლასების მოსწავლეებისთვის ჩავატარეთ **კონკურსი „მათემატიკური ამოცანებითა და მაგალითებით ევროპისაკენ“** (18 საკითხი). საკითხები შედგენილი და გათვლილი იყო საბაზო საფეხურისთვის. მიუხედავად ამისა, დიდი მონდომებით ჩაერთნენ მე-11 კლასის მოსწავლეებიც. ვადა: 10 დღე. შერჩეული იყო კომისია, რომელმაც გამოავლინა და დააჯილდოვა პირველ, მე-2 და მე-3 ადგილზე გასული მოსწავლეები. გამარჯვებულად ითვლებოდა მოსწავლე, რომელიც: 1) დაიცავდა მაგალითისა და ამოცანის ამოხსნის ყველა ეტაპს; სწორად გამოიყენებდა მათემატიკურ დებულებებსა და ფორმულებს; გასცემდა სწორ და სრულყოფილ პასუხს დასმულ კითხვაზე. 2) მოიფიქრებდა კრეატიულ პასუხს კითხვაზე: რას ველოდებით ქართველები ევროპელებისგან?

ჩავატარეთ **ინტეგრირებული გაკვეთილი მე-10 კლასში**, თემაზე „ნატო და ჩვენ“ (მათემატიკა, ისტორია).

მიზანი: წრფივ ორუცნობიან უტოლობათა სისტემის გრაფიკული ამოხსნის პრაქტიკული გამოყენება; კოორდინატთა მეთოდის დაუფლების ხარისხის ზრდა და ამ მეთოდის შესაძლებლობათა გამოვლენასა და სათანადო გამოყენებას + სწორი ინფორმაციის ფლობა და იმის ცოდნა, რას წარმოადგენს NATO, რა მიზნებს ემსახურება და როგორ ვითარდება მისი თანამშრომლობა საქართველოსთან.

ისტორიის მასწავლებელმა, **ადა ნაკაიძემ**, ისაუბრა ნატო-ს როლსა და მნიშვნელობაზე, პრეზენტაცია მომზადებული ჰქონდა PowerPoint-ში. ისეთ საკითხებსაც შეეხო, როგორიცაა: რამ განაპირობა ნატო-ს შექმნა; რას ნიშნავს „ცივი ომი“ და „რკინის ფარდა“; ამ პერიოდში ნატო-ს დანიშნულება – მშვიდობის უზრუნველყოფა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; ბერლინის კედლის ნგრევით „ცივი ომის“ ხანა დასრულდა და ნატო-მ, თანამედროვე ეტაპზე, სხვა დანიშნულება შეიძინა. მინი-ლექცია დაასრულა მესიჯით – „ჩვენი სამშობლოს ნათელი მომავალი ევროპაზე გადის“.

მთავარი მესიჯი მაინც იყო, არის და იქნება: „განათლება არის საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთი შანსი“, სადაც მათემატიკა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული კომპეტენციაა. შემდეგ ამოიხსნა რამდენიმე ამოცანა, რომლებიც დაკავშირებული იყო ნატო-ს შექმნასა და გაფართოებაზე.

ერთი ნიმუში მოსწავლეების მიერ ამოხსნილი ამოცანებიდან: ნატო-ს მიმდინარე გაფართოების პროცესი არ წარმოადგენს საფრთხეს არც ერთი ქვეყნისთვის. გაფართოების მიზანი მდგომარეობს სტაბილურობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაში, ერთიანი და თავისუფალი ევროპის მშენებლობაში, მშვიდობისათვის გაერთიანებაში, საერთო დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებაში. ნატო-ს კარი ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც მზადაა, წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები შეასრულოს და ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეუწყოს ხელი. 1949 წლიდან ნატო-ს წევრ ქვეყანათა რაოდენობა, გაფართოების რამდენიმე საფეხურის გავლით, 12-დან 29 ქვეყნამდე გაიზარდა.

რომ გავიგოთ, რამდენი საფეხურის გავლით გახდა ნატო-ს წევრ ქვეყანათა რაოდენობა 29, ამისათვის საჭიროა ამოვხსნათ შემდეგი უტოლობათა სისტემა:

$$\begin{cases} X - 2Y \geq 0 \\ Y \leq 2 \\ X \geq 4 \end{cases}$$

შემდეგ შევკრიბოთ მიღებული წერტილის კოორდინატები (აბცისა და ორდინატა) და ჯამი გავადიდოთ ერთით. პასუხიც მზადაა.

გაიმართა დისკუსია – რას მოგვიტანს ნატო? რა გვიშლის ხელს ნატო-სკენ მიმავალ გზაზე? დასკვნა ასეთია: ვიცით საქართველოს ისტორია, მისი ღირებულებები; ქართველი ხალხის ძლიერი მხარეები; ვეუფლებით მათემატიკას; ვაზროვნებთ ლოგიკურად; არ ვექცევით სხვისი ზეგავლენის ქვეშ, გზა ხსნილი გვაქვს NATO-სკენ.

ფართო საზოგადოებისთვის მე-10 კლასის მოსწავლემ, **ბესიკ კენჭაძემ** მოამზადა და ჩაატარა პრეზენტაცია თემაზე „ მითები ევროკავშირის, NATO-ს შესახებ და რეალობა“. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომელშიც მონაწილეობდა დამსწრე საზოგადოების დიდი ნაწილი. შედეგმაც არ დააყოვნა – დაიმსხვრა ბევრი მითი.

ვფიქრობ, ეს პროექტი იძლევა მრავალჯერადი გამოყენების საშუალებას, ვიქნებით სულ ახალი ინფორმაციის ძიებაში და ყოველ სიახლეს მოსწავლეებს მივაწოდებთ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მათემატიკის საკითხების შესწავლასთან ერთად. დემოკრატიული პრინციპებისა და ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაციასთან ერთად, მოსწავლეები გაიმეორებენ და განიმტკიცებენ მათემატიკურ ცნებებსა და დებულებებს, ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ ფაქტებსა და თარიღებს. შედეგიც ესაა – მათემატიკის გაკვეთილზე, მათემატიკის სწავლასთან ერთად, ევროკავშირისა და ნატო-ს შესახებ ცნობადობის ამაღლება და ევროპული ღირებულებების დამკვიდრება.

მერი ჯაფარიძე
სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

სწავლების მეთოდი

ფლუმის ორი მოდელი – წერითი უნარების გასაუმჯობესებელი საინტერესო გზა

სასწავლო სივრცეში ხშირად გვესმის ფრაზები: *„წერა ყველაზე მეტად უჭირთ ჩვენს მოსწავლეებს“; „რთულია ყველა მოსწავლის ინტერესის გათვალისწინება და ჩართვა გაკვეთილზე, მით უმეტეს, თუ კლასი მრავალრიცხოვანია“; „ზეპირმეტყველებაში მოსწავლეთა უმეტესობა უკეთეს მაჩვენებელს აღწევს, ვიდრე წერით მეტყველებაში“...* – ეს და კიდევ ბევრი მსგავსი ფრაზა ფაქტობრივად ემთხვევა იმ შედეგს, რომელიც PISA-ს კვლევებმაც დაადასტურა.

როგორც ვიცით, PISA საერთაშორისო კვლევაა, რომელიც ამოწმებს 15 წლის მოზარდების მზაობას, გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რომლებიც სკოლაში მიიღეს. ეს ის ასაკია, როცა მოსწავლეები თითქმის ასრულებენ სავალდებულო განათლების კურსს.

PISA-ს მიზანს არ წარმოადგენს, შეამოწმოს, რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა უშუალოდ სკოლის პროგრამა, არამედ იკვლევს, რამდენად კარგად არიან მოსწავლეები მომზადებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და სრულფასოვანი ჩართულობისთვის. Naec.ge-ს თანახმად, საქართველოში, ამ კვლევის ფარგლებში, შეფასდა 5 572 მოსწავლე და 326 სკოლა.

ორი თვის წინ ჩავერთე ერთ საინტერესო ქართულ-დანიურ პროექტში. დანიურ-ქართული თანადგომისა და პარტნიორობის პროექტის „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში განათლების პოლიტიკის ფორმირების, ადვოკატირებისა და სკოლის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში, გავეცანით დანიელი კოლეგების გამოცდილებას, ინტერაქტიული სწავლების რამდენიმე მეთოდს, რომელთა შორის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა წერის ორი მოდელი. მათი გამოყენება შესაძლებელია ყველა საგანში, ყველა თემაზე, ამავდროულად, ადვილია ამ მოდელების გაერთიანება სხვა წერით სავარჯიშოებთან და, რაც მთავარია, იძლევა წერის კულტურის გაუმჯობესების საშუალებას; ამ მეთოდებით შესაძლებელი გახდა იმ მოსწავლეების გააქტიურებაც კი, რომელთაც ყველაზე მეტად ჰქონდათ ხელი ჩაქნეული თემების წერასა და გაანალიზებაზე; დაკვირვების პროცესში მასწავლებლებს ვთხოვეთ, ჩაენიშნათ როგორ იმუშავებდა აღნიშნული მეთოდები და საკმაოდ საინტერესო უკუკავშირი მივიღეთ, ერთხმად აღნიშნავდნენ მეთოდების დადებით მხარეს: ერთი შეხედვით მარტივი დავალება ადვილად „იტყუებს“ მოსწავლეებს, შესაძლებელი გახდა თემის ამომწურავად გაანალიზება, თანაც წერის ამ მოდელების გამოყენება შესაძლებელია გაკვეთილის პირველ და მეორე ფაზაზე.

მოდელი შექმნა ნორვეგიის უნივერსიტეტის ლექტორმა, **კარლ ჰენრიკ ფლუმმა**.

პირველ მოდელს ეწოდება **ფლუმის 5 კუთხის მეთოდი**, რომელიც გამოიყენება ყველა საგანში და ყველა სახის წერით სამუშაოზე. თითოეული დავალება სამი ნაწილისგან შედგება, შედეგად კი ვიღებთ სულ ხუთ აბზაცს:

1. შესავალი ნაწილი, სადაც მთავარი თემა არის წარმოდგენილი;
2. სამი ნაწილი, რომელიც უკავშირდება მთავარ აზრს;
3. ბოლო ნაწილი, დასკვნის ან შინაარსის სახით.

მივყვეთ თანმიმდევრულად:

პირველ ეტაპზე, ვთხოვთ მოსწავლეებს, დაწერონ სამი სიტყვა, რომელიც ასოცირდება შესასწავლ ან შესწავლილ თემასთან. ამისთვის მივცეთ 2 წუთი;

მეორე ეტაპზე, მოსწავლეებმა აღნიშნული სამი სიტყვა უნდა განავრცონ სამ წინადადებად;

მესამე საფეხური შესავალი და დასკვნითი წინადადებების შექმნა იქნება;

მეოთხე ნაბიჯი მიღებული ხუთი წინადადების ხუთ აბზაცად განვრცობაა. ეს სამუშაოს ძირითადი ნაწილია და ყველაზე მეტ დროს მოითხოვს;

მეხუთე, დასკვნით ეტაპზე მოსწავლეებს ვთხოვთ, გადახედონ საკუთარ ნამუშევარს და გაასწორონ შეცდომები.

შესავალი წინადადებით მკითხველისთვის უნდა წარმოადგინონ თემა. დასკვნითი წინადადებით კი, თავი მოუყარონ ყველაზე საინტერესო ინფორმაციას.

ურჩიეთ მოსწავლეებს, ახსნან და დაასაბუთონ, რა უნდოდათ ეთქვათ თითოეული წინადადებით.

შესწორების დროს მოსწავლეებს ურჩიეთ დააკვირდნენ, როგორ დააკავშირეს:

- წინადადება წინადადებასთან;
- აბზაცი აბზაცთან;
- ქვეთავი ქვეთავთან;
- მსჯელობა თემასთან;
- მაკავშირებლები გამოიყენეს თუ არა სწორად;
- ბოლოს კი, შეიტანონ ძირითადი შესწორებები: სასვენი ნიშნები, გრამატიკული ნაწილი და სხვა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ მოდელის გამოყენება ყველა საგანში ვცადეთ და, დაწყებითი საფეხურიდან საშუალო საფეხურის ჩათვლით, შესანიშნავი შედეგი მივიღეთ. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ გაუიოლდათ წერა, ადვილად ახერხებენ მთავარი ინფორმაციის ამოკითხვას და გაანალიზებას, ისწავლეს, როგორ ჩამოაყალიბონ პოზიცია არგუმენტირებულად.

მეორე მოდელს ეწოდება **ფლუმის 7 კუთხის მეთოდი** და გამოიყენება აკადემიური წერისთვის, როდესაც ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით გვინდა შევაფასოთ მოსწავლეთა სააზროვნო უნარები.

რა ეტაპები უნდა გავიაროთ ამ დავალების შესასრულებლად?

- მოსწავლეებს სთხოვეთ, სწრაფად ჩამოწერონ (დაახლოებით 5 წუთში) ყველაფერი, რაც იციან თემის შესახებ;
- მთავარი გზავნილი ერთ წინადადებაში უნდა მოაქციონ;
- ურჩიეთ, მოიფიქრონ ერთფრაზიანი მთავარი კითხვა;
- იქვე ჩამოწერონ რამდენიმე ალტერნატიული შეკითხვა;
- სთხოვეთ, მიუტრიალდნენ თანაკლასელს და იმსჯელონ, სწორად შეარჩიეს თუ არა კითხვები;
- მოსწავლეებმა შეარჩიონ თემასთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე კითხვა;
- ბოლო ეტაპზე კი, წერილობით ახსნან და იმსჯელონ კონკრეტული კითხვის არჩევანის შესახებ.

განვიხილოთ ეს მოდელი კონკრეტული მაგალითის საფუძველზე:

1. წერენ სწრაფად, 5 წუთში

ა. მოსწავლეებს სთხოვეთ, პირველ მსოფლიო ომსა და ადოლფ ჰიტლერზე დაწერონ, 5 წუთში, წინადადებები. არ გადაამოწმონ, არ შეჩერდნენ, არ დაუბრუნდნენ შესასწორებლად.

ბ. მთავარი ამოცანაა, რომ რაც იციან ამ საკითხის შესახებ, ის წერილობით გადმოსცენ სპონტანურად.

გ. თუ პრობლემებს წააწყდებიან, მიანიშნეთ, რომ აქცენტი გააკეთონ ყველაზე მნიშვნელოვანზე.

2. ახსნან მთავარი აზრი ერთი წინადადებით! მიუთითეთ, რომ დაიწყონ ასე:

- „იმისი თქმა მინდა, რომ...“
- „მინდა ავხსნა, რომ...“
- „ჩემი მთავარი მიზანია...“
- „აქ მთავარია...“
- „ამ საკითხზე ვფიქრობ, რომ...“

გააფრთხილეთ, რომ ფრაზები არ იყოს ძალიან გრძელი. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ფოკუსი დაიკარგოს.

3. მთავარი არსი რომ დაიცვან, დასვან კითხვა...

პირველად წაშალონ ფრაზა – „იმისი თქმა მინდა რომ...“ დარჩენილ წინადადებას მისცენ კითხვის ფორმა. თუ წინადადება რთულია, დაყონ, გაამარტივონ. შეიძლება მაკავშირებლებიც ამოიღონ. ურჩიეთ, იფიქრონ მარტივად. თუ არ არიან საკუთარი ნამუშევრით კმაყოფილები, ცოტა ხანი დატოვონ როგორც არის.

4. ალტერნატიული კითხვები

- ამ ეტაპზე უნდა დაწერონ ალტერნატიული კითხვები;
- ეცადონ კითხვა იყოს მარტივი, დასვან რაც შეიძლება ადვილი შეკითხვა;
- უნდა გამოიყენონ ისეთი კითხვითი სიტყვები, როგორებიცაა: ვინ? რა? რატომ? როგორ? რომელი? სცადონ, გამოიყენონ კითხვის დასმის ისეთი ფორმა, რომელიც დაეხმარებათ უფრო ადვილად მიიღონ პასუხი;
- სულ მცირე, დასვან 3 საპასუხო კითხვა – კითხვები დაყონ არსის მიხედვით.

5. მსჯელობა და შეფასება

- მიუბრუნდნენ პარტნიორს და გაუზიარონ ერთმანეთს კითხვები;
- იმსჯელონ ერთად, ამოარჩიონ საუკეთესოები და შეაფასონ, რატომ არის ესა თუ ის კითხვა უკეთესი?

6. ამოირჩიეთ!

- მოსწავლეებს მიუთითეთ, არჩევანი გააკეთონ, მათი აზრით, საუკეთესო ალტერნატიულ კითხვებს შორის, რომელთა მიხედვითაც განაგრძობენ მუშაობას;
- კითხვის ფორმულირებას ათანხმებენ გვერდით მჯდომთან;
- გახაზავენ შერჩეულ კითხვებს. მაგ., ხაზი გაუსვან ან მონიშნონ, შემდეგ კი, გადაიტანონ ფურცლის დასაწყისში ან ახალ გვერდზე;

7. განმარტებები

- უნდა განმარტონ რატომ მიანიჭეს უპირატესობა იმ კონკრეტულ შეკითხვას, დაასაბუთონ როგორ პასუხობს მათი არჩევანი თემას;
- წერითი ფორმით ხსნიან რამდენიმე წუთში, ან იწყებენ სამი მთავარი სიტყვით (ზუსტად ისე, როგორც ამას 5-კუთხა მოდელის შემთხვევაში ვაკეთებთ).

შედეგი: ჩვენს მოსწავლეებს უკვე ექნებათ გამოკვეთილი მთავარი არსი, გზავნილი და დასაბუთება.

ამ ორი მეთოდის სისტემატური გამოყენებით, ცოტა ხანში, დაინახავთ შედეგს: თქვენი მოსწავლეები არ „შეუშინდებიან“ წერით სამუშაოებს, უფრო თავდაჯერებულები გახდებიან, ნელ-ნელა დიდი მოცულობის სამუშაოს უპრობლემოდ შესრულებასაც შეძლებენ.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია, ისინი იაზროვნებენ! რაც უფრო ხშირად მივცემთ მოსწავლეებს აზროვნებისა და ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული დავალებების შესრულების საშუალებას, მით უფრო მეტად დავეხმარებით XXI საუკუნისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

სარო ხარძიანი

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ლემშვენიერას საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

„საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში განათლების პოლიტიკის ფორმირების, ადვოკატირებისა და სკოლის განვითარების ხელშეწყობის“ სემინარის ფარგლებში მოწოდებული მასალა.

ინფორმაცია

გამყოფი ხაზის მოსაზღვრედ მცხოვრები სტუდენტები დაფინანსდნენ

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ 1600-ზე მეტი სტუდენტის სწავლას სახელმწიფო აფინანსებს. ამისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 2019-2020 სასწავლო წელს, 4 000 000 ლარი გამოყო.

სამინისტრო 2013 წლიდან ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხული, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, დაზარალებული სტუდენტების დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონის, საჩხერის, წალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლები: რუხი, რიყე და ხურჩა), მცხოვრები დაზარალებული სტუდენტები.

ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები სახელმწიფოსგან, ახლა, დასაქმების მიმართულებით გააქტიურებასაც ითხოვენ. **ქეთევან დაბრუნდაშვილი** ერთ-ერთია იმ სტუდენტთაგან, ვისაც სახელმწიფო სწავლის საფასურს სრულად უფინანსებს. იგი გორის რაიონის სოფელ ნიქოზში ცხოვრობს და ერთი წელია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სპეციალობაზე სწავლობს მაგისტრატურაში. ქეთევანი ამბობს, რომ ძალიან კმაყოფილია, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შესაძლებლობა რომ აქვს, სახელმწიფო დაფინანსებით. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ მართალია, თვითონ დასაქმებულია, სწავლის პარალელურად, მაგრამ ძალიან ბევრი ახალგაზრდაა დაუსაქმებელი და კარგი იქნებოდა, სახელმწიფო მათ დასაქმების პროგრამებსაც თუ შესთავაზებდა.

ქეთევან ციხელაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ამბობს, რომ სტუდენტთა მზარდი დინამიკა ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობა, მიუხედავად ძალიან მძიმე მდგომარეობისა, რადგან მავთულხლართების პირისპირ უწევთ ცხოვრება, არა თუ ტოვებს სოფლებს, არამედ, მაგრდებიან საკუთარ მიწაზე, ბრუნდებიან მშობლიურ სოფლებში და ამ სკოლებში კიდევ უფრო მეტი ბავშვი დადის, სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ცდილობს, მათ გვერდში დაუდგეს.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პროგრამა ორ უნივერსიტეტზე ვრცელდება, სწავლის საფასური აუნაზღაურდებათ იმ ბაკალავრებსა და მაგისტრანტებს, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზუგდიდის უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან. თსუ-ს რექტორი აცხადებს, რომ ძირითადი ნაკადი მათთან გააგრძელებს სწავლას. პროგრამის ფარგლებში, რეგიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს საერთო საცხოვრებლის ხარჯებიც აუნაზღაურდებათ.

გიორგი შარვაშიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: *„ჩვენ შემთხვევაში, სტუდენტებს სრულ მომსახურებას ვთავაზობთ, გვაქვს საერთო საცხოვრებელი, ამასთანავე, შეგვიძლია, მოვამზადოთ იმ მიმართულებებით, რომელიც აინტერესებთ და შემდგომ უკვე თავად შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი გზა, რა დისციპლინას აირჩევენ სტუდენტობისთვის.“*

სახელმწიფო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ თითოეულ სტუდენტს, სასწავლო გრანტის სრული ოდენობის ფარგლებში, 2250 ლარით აფინანსებს.

განათლების მინისტრის მოადგილე **ნუნუ მიცკევიჩი** იმედს გამოთქვამს, რომ ეს არ იქნება მხოლოდ სრული დაფინანსებები, ეს სტუდენტები ნაწილობრივ სასწავლო გრანტებსაც მოიპოვებენ და, შესაბამისად, მათ უკვე მაღალი აკადემიური მოსწრება ექნებათ, რაც საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მეტ სტუდენტს, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, მოიპოვოს შესაბამისი გრანტი, სახელმწიფოს მხარდაჭერის საფუძველზე.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პროგრამა 7 წელია მოქმედებს. 2013 წლიდან დღემდე ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების სტატისტიკა მზარდია: 2013 წელს სახელმწიფომ 471 სტუდენტი დააფინანსა, წელს კი მათი რიცხვი 1600-ზე მეტი იქნება. უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში სახელმწიფომ, ჯამში, 7000-ზე მეტი სტუდენტის სწავლა დააფინანსა და 15 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. სამინისტროში აცხადებენ, რომ მზად არიან, ყოველწლიურად, სტუდენტების მზარდ დაინტერესებას შესაბამისად უპასუხონ და, საჭიროების შემთხვევაში, ხარჯი გაზარდონ.

სწავლების მეთოდი

გსურთ, ისწავლონ?! დაე, ითამაშონ!

მაია ჩაჩხიანი
სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

მე მიყვარს თამაში... და, ვთამაშობ...

დარწმუნებული ვარ, თქვენც გიყვართ თამაში... და თამაშობთ...

მით უფრო, ბავშვებს... მათ უყვართ თამაში... და თამაშობენ კიდეც!

თამაშით შეიცნობენ სამყაროს, დაბადებიდანვე. აგებენ „სახლებს“, „სხვადასხვა კონსტრუქციებს“... არიან „მასწავლებლები“, „დედები“, „მამები“, „ექიმები“, „ბიზნესმენები“, „ჭკუის დამრიგებლები“... და თამაშისთვის არ სჭირდებათ სტიმული, მათთვის თამაშია თვითონ მასტიმულირებელი, გარე სამყაროს აღსაქმელად. თამაშით ბევრ რამეს სწავლობენ, ძალდაუტანებლად და ხალისით. *„ბავშვს აქვს თამაშის ინტერესი და ეს ინტერესი უნდა დაკმაყოფილდეს. მას არა მარტო უნდა მივცეთ დრო თამაშისათვის, არამედ უნდა დავტვირთოდ თამაშით მთელი მისი ცხოვრება“* (მაია ინასარიძე – „ვაქციოთ სწავლა სახალისო პროცესად“, ჟურნალი „მასწავლებელი“ №4, 2014).

სწავლება და შემეცნება საინტერესო და სახალისო რომ გახდეს, მნიშვნელოვანია, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებთან და მეთოდებთან ერთად, გამოვიყენოთ სწავლის ემოციურ-მოტივაციური სტრატეგიები და სწავლების აქტიური მეთოდები. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწავლების პროცესში თამაშის ტექნიკის გამოყენებას. თამაშს განსაკუთრებული როლი აქვს არა მარტო შემეცნების მხრივ, არამედ სწავლების პროცესს დადებით მუხტს და ენერგიას აძლევს და მოსწავლეს დადებით განწყობას უქმნის.

მოსწავლეთათვის სწავლა, უმეტესად, „მოსაწყენია“, მაგრამ სწავლების პროცესისადმი შემოქმედებითი მიდგომა („სწავლა ხელოვნებაა...“) პროცესს საინტერესოს და მიმზიდველს ხდის. როცა სწავლების პროცესის ცენტრში მოსწავლე დგას, მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რა ცოდნა დააგროვეს მათ, არამედ როგორ, რატომ ისწავლეს, რა უნარები გამოიმუშავეს, როგორ შეიძლება მიღებული ცოდნის ახალ, საგაკვეთილო პროცესისგან განსხვავებულ სიტუაციაში გააზრებულად და სწორად გამოყენება. ყოველივე ეს სულ მაფიქრებდა და მსურდა, მოსწავლეებისთვის შემეთავაზებინა ისეთი რამ, რაც მათთვის მამოტივირებელი, საინტერესო, ამავე დროს, მიზნობრივი იქნებოდა, რა თქმა უნდა, ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე. გამიჩნდა იდეა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივი ძალისხმევით, მომემზადებინა ღონისძიება, რომლის საფუძველი საგანთა ინტეგრაცია იქნებოდა, ამავე დროს ღონისძიება უნდა ყოფილიყო ორიგინალური, საინტერესო, შემეცნებითი და მიზნობრივი. მსურს წარმოგიდგინოთ ჩვენი თამაში:

გსურთ, ისწავლონ?! – დაე, ითამაშონ!
ანუ ამბავი ერთი თამაშისა

ეს თამაში ყველასთვის კარგად ცნობილი სატელევიზიო თამაშის „ბოიარდის ციხესიმაგრე“ ფორმატისაა, სახელწოდებით „მეცნიერებათა ციხესიმაგრე“. მუშაობაც დავიწყეთ. მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის შესაშური ურთიერთთანამშრომლობითი ატმოსფერო შეიქმნა. ერთობლივი ძალისხმევით შევიმუშავეთ პროექტის ფორმა, სტრუქტურა, აქტივობები. მაშ, ასე, სკოლის შენობაში განთავსებულია კაბინეტები, რომლებიც, პირობითად, წარმოადგენენ ციხესიმაგრეებს: **„ქართული“**, **„ფიზიკა“**, **„გეოგრაფია“**, **„სპორტდარბაზი“**, **„კომპიუტერი“** და **„მათემატიკა“**. თითოეული მათგანის „აღებას“ შეეცდებიან მოსწავლეები. ციხესიმაგრის სახელწოდების შესაბამისი საგნის მიხედვით, მოსწავლეებს სთავაზობენ საინტერესო ამოცანებს, რომელთა ამოხსნაში მათ დაეხმარება არა მარტო მითითებულ საგანში შეძენილი ცოდნა, არამედ მათემატიკის სწავლებისას მიღებული ცოდნაც. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეძლებენ ამოცანის ამოხსნას, მოიპოვებენ მინიშნებას, რომელიც მათ მთავარი მიზნის – ციხესიმაგრე „მათემატიკის“ აღებაში დაეხმარება. თუ როგორ, მოსწავლეებისთვის ეს სიურპრიზად რჩება. ყველაფერი ნათელი ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ციხესიმაგრე „მათემატიკაში“ აღმოჩნდებიან; თითოეულ „ციხესიმაგრეში“ მოსწავლეებს მეგზურობას ხელმძღვანელი მასწავლებელი უწევს.

მოსწავლეები იმყოფებიან ციხესიმაგრეში „ქართული“. მოტივაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: გიყვართ ქართული? გიფიქრიათ, რა კავშირშია იგი მათემატიკასთან? (აღმოვაჩინოთ ეს კავშირი – თუ მოსწავლეები იტყვიან „კის“; შევეცადოთ აღმოვაჩინოთ ეს კავშირი – თუ იტყვიან „არას“).

მოსწავლეებს სთავაზობენ თვალსაჩინოებებს, რომლებზეც განლაგებულია ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“, წარწერა – „გიორგი წერეთელი, ლეონარდო და ვინჩი“, ხეოფსის პირამიდის სურათი, რიცხვები: 0,6; 1,6; 8/5 ; 5/8; და ა.შ. მაშ ასე! კითხვა მოსწავლეებს – *„ამ საკითხით მათემატიკოსები უძველესი დროიდან დაინტერესდნენ, გამოჩენილმა მხატვარმა საოცარი სახელი დაარქვა, მას ღვთაებრივსაც უწოდებდნენ, იყენებენ ხელოვნებასა და არქიტექტურაში, მუსიკასა და პოეზიაში“* – რაზეა საუბარი? როგორ უკავშირდება ერთმანეთს თვალსაჩინოებაზე წარმოდგენილი მასალები? რა შუაშია აქ მათემატიკა და ქართული? **სწორი პასუხი**: შეკითხვაში საუბარია ოქროს კვეთის შესახებ. ლეონარდო და ვინჩიმ შემოიღო ტერმინი „ოქროს კვეთა“; ლუკა პაჩოლიმ ღვთაებრივი პროპორცია უწოდა; გიორგი წერეთელმა დაამტკიცა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 863 სტროფი დაწერილია ოქროს კვეთის პრინციპით. ოქროს კვეთის პროპორციის გამომსახველი რიცხვია 0,6 და 1,6... სწორი პასუხის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსწავლეები მოიპოვებენ მინიშნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

შემდეგ გაემართებიან ციხესიმაგრეში „ფიზიკა“, სადაც მათ წარუდგენენ მეტად საინტერესო ამოცანას, რომელიც ნამდვილად საბუნებისმეტყველო გამოწვევაა, მაგრამ ლოგიკური გამომდინარეობაა. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებელი მიმართავს: ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა და განვითარდა მეცნიერების შესანიშნავი დარგი – ლოგიკა. ის მართლაც საოცარი რამაა! ლოგიკაში ყოველი დასკვნა გარკვეულ წანამძღვრებს ეფუძნება და მას არ აინტერესებს ამ წანამძღვრების მართებულება, არამედ გამართული მსჯელობა, რომლის საფუძველზეც გამომდინარეობს ეს დასკვნა.

მასწავლებელი: ძაღლს რქები ეზრდება?

მოსწავლეები (გაკვირვებით პასუხობენ): არა.

მასწავლებელი: 3 მეტია 4-ზე?

მოსწავლეები: რა თქმა უნდა, არა.

მასწავლებელი: ახლა განვიხილოთ წინადადება – „თუ ძაღლს რქები ეზრდება, მაშინ 3 მეტია 4-ზე“. ეს წინადადება ჭეშმარიტია, იყო პასუხი.

მასწავლებელი: მაშასადამე, ეს წინადადება ემყარება გარკვეულ წანამძღვრებს, რომლის ჭეშმარიტებაც სრულებით არ არის აუცილებელი, მაგრამ ამ წანამძღვრებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომლის ჭეშმარიტება ცალსახად თვალსაჩინოა.

მოსწავლეები ინტერესით ელიან, რა დავალებას შესთავაზებენ მათ. მასწავლებელი: გთავაზობთ გამოჩენილი ბერძენი მეცნიერის ლოგიკურ მსჯელობას: „მომეცით საყრდენი ნერტილი და დედამიწას ავწევ!“ კითხვა მოსწავლეებს – *შეძლებდა თუ არა არქიმედე დედამიწის აწევას?* **სწორი პასუხი**: ლოგიკურად ეს გამონათქვამი სწორია, მაგრამ მეცნიერების თვალსაზრისით კი მცდარი, რადგან მას შემდეგ, რაც მოსწავლე გამოიყენებს მექანიკის „ოქროს წესს“ და ბერკეტის წონასწორობის პირობებს, გამოთვლების ჩატარების პროცესში, მოსწავლეებს სჭირდებოდათ სტანდარტული ფორმით ჩაწერილ რიცხვებზე მოქმედების ჩატარება, რაშიც მათემატიკის გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნას გამოიყენებდნენ და დაადგენდნენ, რომ არქიმედე ბერკეტით დედამიწის აწევას ვერ შესძლებდა. სწორი პასუხის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსწავლეები მოიპოვებენ მინიშნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

შემდეგ ეტაპზე მიემართებიან ციხესიმაგრისკენ „კომპიუტერი“. მასწავლებელი: მინიშნების მოსაპოვებლად ჩვენ ვეწვევით ჯადოსნურ ოთახს, სადაც თქვენ წინაშეა ადამიანის უდიდესი აზროვნებისა და შემოქმედების ნიმუში, რომელიც დიდი ინტერესით იზიდავს როგორც პატარა ბავშვს, მოზარდსა თუ მოზრდილს, ასევე ასაკოვან ადამიანებსაც კი. მოსწავლეები აღმოჩნდებიან ოთახში, სადაც კომპიუტერებია. დავალება მოსწავლეებს: *„ჩაატარე საჭირო გამოკითხვა თემაზე – „საყვარელი ორნიშნა რიცხვი“. გამოიყენე კომპიუტერული პროგრამა და შეადგინე დიაგრამა გამოკითხულთა ინტერესების გათვალისწინებით და გააფერადე ეს დიაგრამა ცისარტყელას ფერებით“.* **სწორი პასუხი**: ჯგუფის წევრები ჩაატარებენ საჭირო გამოკითხვას (მათ ირგვლივ არიან არა მონაწილე მოსწავლეები და დაინტერესებული პირები, ჯგუფის წევრებს საშუალება აქვთ, იქვე ჩაატარონ გამოკითხვა). უნდა გამოიყენონ კომპიუტერი და შეასრულონ დავალება. დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში, მოსწავლეები მოიპოვებენ მინიშნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

მასწავლებელი მიმართავს ჯგუფის წევრებს: ახლა გონებრივი განტვირთვისთვის მოვემზადოთ, პატარა ტაიმ-აუტი ავიღოთ და ახალი ციხესიმაგრის ასაღებად გავეშუროთ. აქ თქვენ, მინიშნების მოსაპოვებლად, არა გონებრივი, არამედ ფიზიკური შესაძლებლობა გამოგადგებათ. მოსწავლეები გაემართებიან ციხესიმაგრისკენ „სპორტი“. დავალება მოსწავლეებს: აცოცდნენ ბაგირზე, რაც შეიძლება მცირე დროში და მოიპოვონ ბაგირის ბოლოში მოთავსებული მინიშნება. დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში, მოსწავლეები მოიპოვებენ მინიშნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

შემდეგ გაემართებიან ციხესიმაგრისკენ **„გეოგრაფია“**. მასწავლებელი, მოტივაციის ამაღლების მიზნით, მიმართავს მოსწავლეებს: საქართველოს რუკა თითოეული ჩვენგანისთვის მეტად საამაყო და საუკეთესოა. რამდენჯერ გადაგვივლია თვალი საქართველოსთვის, მისი მხარეებისთვის, ქალაქებისთვის, იმ სოფლებისთვის, რომელიც მხოლოდ ჩვენთვისაა ცნობილი და გვიოცნებია – აგვიყვანა „...სულ ზევით, მაღლა და მაღლა...“ და დაგვანახა ზემოდან ჩვენი გულისოდენა, მაგრამ გულიანი საქართველო, პატარა, მაგრამ მაინც დიდი საქართველო, დაჭრილი, მაგრამ ფესვმაგარი და ფეხზე მდგარი საქართველო... აბა, ბავშვებო, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი საქართველოს რუკას, გეოგრაფიას, მათემატიკას და... დავალება მოსწავლეებს: „გამოიყენეთ საქართველოს რუკა და გამოთვალეთ წრფივი მანძილი თქვენთვის სასურველ ორ ქალაქს შორის“. **სწორი პასუხი**: მოსწავლეებმა, მასშტაბის და მათემატიკური გამოთვლების გამოყენებით, უნდა შეძლონ დავალებისთვის პასუხის გაცემა. სახაზავის გამოყენებით გაზომავენ მანძილს რუკაზე, ორ ქალაქს შორის, შეუსაბამებენ რუკის მასშტაბს და მათემატიკური გამოთვლებით დაადგენენ რეალურ მანძილს. დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში, მოსწავლეები მოიპოვებენ მინიშნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

მოსწავლეები პირობითი ციხესიმაგრეებიდან ხელდამშვენებულები ბრუნდებიან და მიემართებიან მთავარი ციხესიმაგრისაკენ „მათემატიკა“. დიდი ინტერესით ელიან, რაში გამოადგებათ და როგორ გამოიყენებენ მოპოვებულ მინიშნებებს. ციხესიმაგრეში „მათემატიკა“ მათ სთავაზობენ სხვადასხვა სააზროვნო დონის (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით) შესაბამის დავალებებს, თემაზე – „გრაფთა თეორიის ელემენტები“. სიურპრიზი სწორედ ის არის, რომ წინა აქტივობებში მოპოვებულ მინიშნებებზე ამ დავალებების პასუხები და ამოხსნებია მოცემული, რომელთა მეშვეობითაც პასუხის გაცემა გაცილებით გაუადვილდებათ. ჯგუფის წევრებმა გახსნეს მოპოვებული მინიშნებები, დაახარისხეს, მინიშნებაზე მოცემული პასუხები წარმოდგენილ კითხვებს შეუსაბამეს. ისინი კმაყოფილი და გახარებული იყვნენ სიურპრიზით. მოპოვებული მინიშნება ძალიან გამოადგათ და დაეხმარათ სწორი პასუხების გაცემაში.

მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერეს და აღმოაჩინეს ქართულის, ფიზიკის, გეოგრაფიისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საგნობრივ დისციპლინებში მიღებული ცოდნის მათემატიკასთან კავშირი. ამ პროექტის მომზადება და განხორციელება, რა თქმა უნდა, მოკრძალებული მცდელობაა ამ კავშირების დასანახად და ის სრულად ვერც წარმოაჩენს ამ კავშირებს, მაგრამ მოსწავლეებს დააფიქრებს და სხვა თვალით დაანახებს სწავლის მიზნებს, იმას, რომ *„მათემატიკა ხელს უწყობს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას. იგი იძლევა ეფექტიანი, ლაკონური და არაორაზროვანი კომუნიკაციის საშუალებას. მათემატიკის გამოყენებით შესაძლებელია რთული სიტუაციის თვალსაჩინო წარმოჩენა, მოვლენების ახსნა და მათი შედეგების განჭვრეტა“* (ეროვნული სასწავლო გეგმა. საგნობრივი პროგრამა მათემატიკაში).

აღნიშნული თამაში წარმატებული აღმოჩნდა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. განხილვისა და საბოლოო შეფასების შემდეგ, მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანე: თამაშის ტექნიკის გამოყენება ძალიან ღირებულია, ამავე დროს, დიდ სიამოვნებას, სიხარულსა და დაუვიწყარ წუთებს ჩუქნის მოსწავლეებს და არა მარტო მათ... იმავდროულად, მოსწავლე ცდის თავის შესაძლებლობებს და უნარებს, დამოუკიდებლად განკარგავს მათ მიზნის მისაღწევად; მობილიზებას უკეთებს შეძენილ ცოდნას, ახდენს ამ ცოდნის სტრუქტურირებას, რათა იაზროვნოს ლიმიტირებული დროის პირობებში სწრაფად და, ამავე დროს, სწორად.

მაშასადამე, გსურთ, ისწავლონ თქვენმა მოსწავლეებმა? დაე, ითამაშონ!

ინფორმაცია

სტუდენტური სამეცნიერო პროექტის მონაწილეებმა კვლევა დაიწყეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის სტუდენტური პროექტის მონაწილეებმა ჩვენი ქვეყნის 1918-1921 წლების ისტორიის ამსახველი საარქივოდო კუმენტების შესწავლა დაიწყეს.

ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში ისინი, 14 იანვრიდან 17 მარტამდე, იმუშავებენ შემდეგ თემებზე:

• **ირმა ჭანტურია** – „ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“;

• **რატი კობახიძე** – „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში“;

• **ალექსანდრე ბიძინაშვილი** – „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

პროექტის მიზანია 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საკითხების შესწავლა, დასკვნების გამოტანა და გააზრება; იმ სტუდენტთა წახალისება, რომლებსაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის კვლევის სურვილი აქვთ. პროექტის ხელძღვანელია ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელი, ისტორიკოსი **დიმიტრი სილაქაძე**.

პროექტში მონაწილეობის მსურველთათვის კონკურსი 2019 წლის ნოემბერში გამოცხადდა. შეირჩა სამი სტუდენტი: ირმა ჭანტურია – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი; რატი კობახიძე – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის მესამე კურსის სტუდენტი; ალექსანდრე ბიძინაშვილი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების II კურსის (ბაკალავრიატი) და თბილისის სასულიერო სემინარიის II კურსის (ბაკალავრიატი) სტუდენტი.

მუშაობის დასრულების შემდეგ, სტუდენტები საკუთარი ნაშრომების პრეზენტაციას გამართავენ, ამასთანავე, ეროვნული არქივის ვებგვერდზე გამოქვეყნდება კვლევების ელექტრონული ვერსია.

სტუდენტურ პროექტს 2018 წელს ჩაეყარა საფუძველი და წელს უკვე მესამედ ტარდება. ღონისძიება ამჯერად საქართველოს ეროვნული არქივის 100 წლის იუბილეს ეძღვნება.

ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ДОМАШНИЕ И ДИКИЕ ЖИВОТНЫЕ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ №2 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ, ᲙᲔᲜᲘᲣᲚ ᲙᲐᲠᲐᲙᲛᲐᲖᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ (ᲑᲣᲜᲔᲑᲐ-ᲠᲣᲡᲣᲚᲘ) ᲒᲔᲒᲛᲐᲡ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ: კენიულ კარაკმაზლი	
ᲡᲐᲒᲐᲜᲘ: ᲑᲣᲜᲔᲑᲐ	ᲙᲚᲐᲡᲘ: მე-2Დ
ᲗᲔᲛᲐ: Домашние и дикие животные	ᲓᲠᲝ: 40 წუთი
ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ: 24 მოსწავლე; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე – 0	
ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ: Интегрированный (ბუნება-რუსული)	

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:

1. Научить различать домашние и дикие животные по определенным признакам:
- ❖ почему так называются?
- ❖ жилище
- ❖ польза для человека
- ❖ название детенышей

2. Сделать вместе с детьми книжку «Домашние и дикие животные». (информационный ресурс для долгосрочного пользования)
3. Познакомить с профессией – ветеринар.
4. Составлять простые предложения, работать над обогащением словарного запаса, расширением кругозора.

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ:

1. Смогут группировать животных:
- ❖ на домашних и диких;
- ❖ по внешним признакам;
- ❖ по среде обитания.

2. Назовут части тела животных.
3. Назовут взрослое животное и детеныша.
4. Смогут составлять простые предложения на тему урока.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

Ест. 4
Ест. 11.6
Рус. Речь.1.1
Рус. Лексика 2.2, 2.3, 2.4.

ᲬᲘᲜᲐᲠᲔ ᲪᲝᲓᲜᲐ:

- ❖ Знают названия домашних и диких животных.
- ❖ Знают названия детенышей.
- ❖ Умеют читать, писать, устанавливать соответствие, составляют простые предложение.

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ:

- ❖ работа у доски;
- ❖ весь класс;
- ❖ групповая работа.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲘ:

- ❖ групповая и индивидуальная работа;
- ❖ интеракция;
- ❖ презентация.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ

Доска, раздаточный материал, картины, материал для создания ресурса.

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

I ᲤᲐᲖᲐ – ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ (2 мин.)

- ❖ Приветствие;
- ❖ Девиз;
- ❖ Отметка отсутствующих.

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ №1. ᲬᲘᲜᲐᲠᲔ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲐ

Секретная коробка (в коробке сюрприз) – (5 мин.)
Вопрос-ответ

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:

Определение темы урока, сообщение целей урока и критериев оценки.

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ:

- ❖ Как вы думаете что в коробке?

(ответы детей)
Учитель открывает секретную коробку…

- ❖ О чем мы будем говорить на уроке?

(о животных)
Учитель открывает на доске карточку –

Животные

Далее: (учитель открывает картины)
На доске различные картины с изображением домашних и диких животных.

- ❖ На какие две группы можно разделить этих животных?

(дети сортируют, пытаются сами угадать тему урока, учитель открывает карточки)

Домашние **Дикие**

Сообщение целей и критериев оценки

II ᲤᲐᲖᲐ – ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ №2

Части тела животных (5 мин.)

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ: Научить правильно называть части тела животного.

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ:

На примере игрушечного олененка Бемби… Называют части тела животного. На доске карточки с названиями частей тела животных, ученики по одному подходят и приклеивают карточку к игрушке соответствующую к определённой части тела.

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ №3 (18 мин.)

Создание ресурса: Книга «Домашние и дикие животные»

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ:

Систематизировать имеющиеся знания, создать информационный ресурс для долгосрочного пользования, в процессе работы открывать новые знания.

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ:

1. Оформление обложки (название, имена авторов, дизайн) – 2 мин.
2. Части тела (опираясь на предыдущее задание, подписывают части тела животного) – 2 мин.
3. Мама и малыш (на листе приклеены картины с животными и детенышами, дети подбирают карточки и подписывают рисунки) – 2 мин.
4. Профессия – ветеринар (знакомство с термином и с человеком этой профессии из нашего города) – 2 мин.
5. Семья животного (называют членов семьи животного) – 2 мин.
6. Польза животных (рассказать какую пользу приносят домашние животные)

Составление простых предложений – 2мин.

Резерв:

В зависимости от оставшего времени учитель по одному добавляет страницы к книге.

7. Голоса животных (к данным картинкам с изображениями животных дети подбирают карточки с голосами, которые они подают).
8. Домики животных (самостоятельно изучают новый материал).

Презентация – 8 мин.

III ᲤᲐᲖᲐ – ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ – 2 мин.

Вам понравился урок?
Что нового узнали?
Как вы думаете, чем будет полезна другим детям книга, которую мы сделали?

ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

	ОТЛИЧНО	ХОРОШО	УДОВЛЕТВОРИТЕЛЬНО
Включенность и сотрудничество	Все работают сообща	Некоторые ученики отвлекаются	Работают не согласованно
Лимит времени	Во время выполняют задания	Выполняют с небольшим опозданием	Выполняют со значительным опозданием
Правильность выполнения задание	Правильно выполняют задания	Правильно выполняют задания, но с небольшим опозданием	Неправильно выполняют задания

სკოლა და მშობელი

წაკითხული წიგნის განხილვა მშობელთა ჩართულობით

ნინო სურმავას „უკუღმა ბიჭი“

ლეილა ქათამაძე
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჯემალ ქათამაძის სახელობის ციხისძირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი

მშობლები ხშირად საუბრობენ საკუთარი შვილების როგორც მომავალზე, ასევე აწმყოზე. მომავალში მათ სურთ, დაინახონ შვილები ჯანმრთელები და წარმატებულები. როდესაც საუბარია შვილების აწმყოზე, ხშირად ხდება ბავშვების კონკრეტული ქცევის დახასიათება. მაგალითად, სურთ: შვილები კარგად მოიქცნენ, კარგად ისწავლონ, არ ილაპარაკონ ხმამაღლა, არ დაანაგვიანონ ოთახი და მრავალი სხვა, „არ შეარცხვინონ!“.

ბავშვი უნდა იცავდეს ქცევის იმ წესებს, რომლებიც მიღებულია კონკრეტულ საზოგადოებაში, სიტუაციაში, ოჯახში. თუ ბავშვი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არღვევს ამ წესებს, მისი ქცევა მიუღებელი, არასასურველი, რთული ან პრობლემური ხდება. ბავშვის ე.წ. არასასურველი ქცევის მართვას ხშირად მოსდევს ბევრი მუქარა, შენიშვნა, მოთხოვნა, რომელიც ნათქვამია ბრძანებით, ბავშვის გრძნობების გაზიარების გარეშე, ან პირიქით, ნათქვამია თხოვნით, მუდარით. ორივე შემთხვევაში, სასურველი შედეგის მიღწევა რთულდება. აღნიშნულმა ქმედებამ, შეიძლება იმ წუთში შეაჩეროს მიუღებელი ქცევა, მაგრამ ეს დროებითი შედეგია და არასასურველი ქცევა აუცილებლად სხვა დროსაც იჩენს თავს და შეიძლება უფრო მძაფრი გამოხატულებით.

უფროსები ცდილობენ პასუხის გაცემას კითხვაზე – როგორ ავირიდოთ მსგავსი ქცევა თავიდან? ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები, შეხედულებები და ქმედებებია. წიგნის „უკუღმა ბიჭი“ განხილვის მიზანი იყო, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს მხატვრული ლიტერატურის კითხვას ვაჩვევდი, წაკითხულის გააზრების, მსჯელობისა და დასკვნის გამოტანის უნარებს ვუვითარებდი, მშობელთა თანამშრომლობის გზით (მონაწილეობით), აღზრდის მეთოდების შესახებ გვემსჯელა, მოსწავლეთა შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გაანალიზებით კი, გაგვეთავისებინა რთული ქცევის მართვის მიგნებები.

მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ტექსტი, სხვადასხვა სქემის გამოყენებით, შეძლეს ტექსტის გააზრება და საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება. მშობელთა ჩართულობით გამართეს დისკუსია აღზრდის მეთოდების შესახებ. პატარები ამტკიცებდნენ, რომ უფროსები მათ არ უსმენენ, არ აინტერესებთ რას ფიქრობენ, რას განიცდიან ან რა აწუხებთ; მშობლების აზრით, შვილები ყოველთვის უნდა იქცეოდნენ ისე, როგორც მათ მოსწონთ, ეს კი უსამართლობაა. პერსონაჟების ხასიათისა და თავისებურებების უკეთ გააზრების მიზნით, დამსწრე საზოგადოებასა და მოსწავლეებს შევთავაზე აქტივობა „ცხელი სკამი“. ისინი ცდილობდნენ, მოერგოთ პერსონაჟების ხასიათი და ეპასუხათ საინტერესო და აქტუალურ კითხვებზე.

„ცხელ სკამზე“უფროსებიც დასხდნენ და მოირგეს დიტოს დედის, მამის, ბებიის, ბაბუის როლები; „ცხელ სკამზე“ დაჯდა სკოლის ექიმიც, პატარები დაინტერესდნენ, როგორ მოიქცეოდა ის მსგავს შემთხვევაში? ერთობლივი დისკუსიისა და მოსწავლეთა მოსაზრებების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი:
1) ბავშვებს არ მოსწონთ დასჯა („დედა კარგია იმიტომ, რომ არ დასაჯა დიტო“).
2) ბავშვებს სჭირდებათ სტიმული რთული ქცევის მართვისთვის („ბიძიამ ბურთი რომ მიყიდა, იმიტომ გამოვსწორდი“).
3) ბავშვის ინტერესებს სჭირდება ყურადღება და გათვალისწინება („ადრე რომ ეყიდათ ბურთი, აუცილებლად გამოვსწორდებოდი“).
4) ბავშვს თვითონაც არ მოსწონს რთული ქცევა („მე ჩუმად ვტიროდი, მშობლები რომ ნერვიულობდნენ“).
5) ბავშვები აფასებენ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებას („ბიძიამ იცოდა, რომ მიყვარდა ფეხბურთი და ამიტომაც მიყიდა ბურთი).
6) ბავშვების ინტერესების აკრძალვა პატარებზე ცუდად მოქმედებს და უფრო მეტად უბიძგებს რთული ქცევისკენ.

მშობლები და დამსწრე საზოგადოება მოსწავლეთა მსჯელობამ დააფიქრა, გაოცებულები უსმენდნენ, უკვირდათ როგორ თამამად, გამართულად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრსა და დამოკიდებულებას. გაკვეთილი „სამოქალაქო განათლების“ პედაგოგმა შეაჯამა და მშობლებს მოუწოდა: უფრო მეტი სიყვარულით, გაგებითა და თანადგომით მოექცნენ პატარებს, გაითვალისწინონ მათი ინტერესები, მისწრაფებები, ემოციები და განცდები, რადგანაც დასჯა გამოსავალი არ არის. ხშირად აკრძალვა მოზარდებზე ცუდად მოქმედებს და მათ უფრო მეტად აგრესიულებს ხდის.

ინფორმაცია

ფოლკლორი, როგორც ცნობიერება

ყოველი ერის სულიერების სიდიადეს, მითოლოგიური საზომით, ხალხის სიბრძნე განსაზღვრავს. სულმნათი აკაკი წერეთლის სიღრმისეული რწმენით, ანდაზა კითხვაც არის, პასუხიც და გონივრული კრიტიკაც. დღესდღეობით უფრო მეტად ვართ მოვალეც და პასუხისმგებელიც, მამა-პაპათა გონს ვაზიაროთ ახალგაზრდობა და აზროვნების კვალი დავტოვოთ მათ ცნობიერებაში.

საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი – **ბერიკა დეკანოიძე**) კლუბის „თავთუხები“ (ხელმძღვანელი – **ნანი ენუქიძე**) გამორჩეული ტრადიციაა ფოლკლორის ჟანრის დღესასწაული, რომელიც საუკეთესო, ეროვნული სულიერებისაკენ მიმავალი ნაბიჯებია. „თავთუხელებს“ სჯერათ, რომ უანდაზებოდ სიკეთე შეჩერდება. მათ სიკეთის სამყაროში იმოგზაურეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პროექტით – „მოგზაურობა სიკეთის სამყაროში“. თეატრალიზებულად გააცოცხლეს ანდაზა, როგორც სიკეთით აღსავსე პერსონაჟი: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“, „ჯერ დაფიქრდი და მერე თქვიო“, „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“, „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“, „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“, „ზოგი ჭირი მარგებელია“, „სულელს ნურც ნურას ჰკითხავ და ნურც დაუჯერებო“, „სახელის გატეხას, თავის გატეხა სჯობიაო“.

გონივრული მსჯელობა საინტერესოდ წარმოადგინეს „თავთუხელებმა“: **ლანა ბახტურიძემ, ნინო ნამგლაძემ, თამარ გაბაძემ, თამარ იაკობიძემ, ნიკა ჩხეიძემ, მარიამ ზეინკლიშვილმა, იაკო თეზელაშვილმა**. ღონისძიება მიმზიდველი იყო სოფელ სარეკის, ქორეთის, მახათაურის, გ/არგვეთის, გორისის, იტავაზის, საირხის, მოძვის, პერევის სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის. მასპინძლებმა თავიანთი შეკრებილი გამოცანები თქვეს, ასევე, ლექსები და ანდაზები „ბებიას სკივრიდან“.

მოხსენებები წაიკითხეს **ნანი ენუქიძემ, მზია დეკანოიძემ, ია დარბაიძემ**; საორგანიზაციო საქმეს ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მასობრივი ღონისძიებების უფროსი სპეციალისტი **შორენა კურტანიძე**. მოგზაურობა ფოტო და ვიდეომასალებით გაამდიდრეს შორენა კურტანიძემ და **გიორგი გრძელიშვილმა**.

„თავთუხელებმა“ მოსწავლეებს სამახსოვროები გადასცეს; კლუბებს, პედაგოგებს – სიგელები და მადლობის ბარათები.

განსაკუთრებული გამოძახილი ჰქონდა საჩხერის მეორე საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლიკა გომართელი**) V^2 და VI^1 კლასების მოსწავლეთა შემოქმედებას (**რუსუდან სისვაძე, პაპუნა ჩხეიძე, ირაკლი იაკობაშვილი, დემეტრე ლობჟანიძე, ნუცა ზაბახიძე, ნუცა ფალავანდიშვილი, დაჩი დაუშვილი, თათია ტალახაძე, ვაკო ცუცქირიძე, გვანცა ბაქრაძე, ელენე სადუნიშვილი, ნინო ყიფიანი, გიორგი შუბითიძე**.

„კლუბის „თავთუხები“ ხელმძღვანელი ფოლკლორის ჭეშმარიტი მოამაგეა. ოთხი ათეული წლის მანძილზე, ის ხალხური გენიის დამნთებია, გამორჩეულია მისი საქმიანობა, გავიწყებს წყენას, თვალწინ გიდგამს მშვენიერს და ამაღლებულს – ქართული სულის დემონსტრირებას – ქართულ ფოლკლორს, სიბრძნითა და სიკეთით გამორჩეულს.“ – ასეთია მახათაურის, გ/არგვეთის, სარეკის, ქორეთის, საირხის, პერევის, მოძვის, გორისის, იტავაზის სკოლების დირექტორთა და პედაგოგთა შეფასებები.

მზია დეკანოიძე
საჩხერის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კლუბ „თავთუხების“ საპატიო წევრი

მშობელთა კრება

„მე რომ შენი ხნის ვიყავი...“, ანუ მშობლებისა და შვილების ურთიერთობის პრობლემა

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა ყველა დროში არსებობდა და არსებობს დღესაც. შვილები სხვა თაობის ხალხია, მშობლები – სხვა თაობისა და სწორედ ეს ინვევს აზრთა დაპირისპირებას, შეუთავსებლობას, ანუ ის, რაც მოსწონთ მშობლებს, არ მოსწონთ ახალგაზრდებს, არ მოსწონთ მშობლებს და პირიქით. მშობლები დაკავებული არიან საკუთარი საქმიანობით, კარიერული წინსვლით და სულ უფრო ნაკლები დრო რჩებათ შვილებთან ურთიერთობისთვის, მოუცლელობას იმიზეზებენ, უმრავლესობა უკმაყოფილოა საკუთარი შვილების სწავლით, აკრიტიკებს მათ მოქმედებებს. მშობლები, ასევე, ცდილობენ დაიმორჩილონ შვილები, აკონტროლებენ მათ ყოველ ნაბიჯს, თითოეულ მოქმედებას, აზრებსაც კი და ვერც კი აცნობიერებენ, რომ ამით ბავშვი შეიძლება სულ სხვა პიროვნებად აქციონ, სულ სხვა მიზნები და ფასეულობები ჩამოუყალიბონ. რაც უფრო შებოჭილია ბავშვი, მით უფრო მეტად უჩნდება თავისუფლების სურვილი, რაც აკრძალულია, ის უფრო საინტერესოა. აკრძალული ხილი უფრო გემრიელიაო, ამბობენ და მართალიცაა. მშობლის ზედმეტმა კონტროლმა შეიძლება ბავშვს ცუდი საქციელისკენ უბიძგოს და ის გააკეთებინოს, რისი გაკეთების სურვილი არც კი გაუჩნდებოდა. ბავშვის ფსიქიკა ძალიან ნაზია და შეიძლება ელემენტარულმა უსამართლო მოქმედებამაც დაარღვიოს. ფროიდის აზრით, ესა თუ ის ტრავმა ადამიანის ცხოვრებაში ინახება და არ წაიშლება, ელოდება პირობას, რომ გახდეს აქტიური. ეს ტრავმა ცნობიერებაში დამახინჯებული სახით გამომჟღავნდება, მაგალითად, ნარკომანებში, მანიაკებში და ა.შ.

თავის მხრივ, შვილებს არ მოსწონთ საკუთარი მშობლები, პირად ცხოვრებაში ჩარევის, კონტროლისა და მანიპულაციების, სკანდალებისა და საყვედურების გამო. თუმცა, არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც ფეხს უწყობენ თანამედროვე ცხოვრებას და მწვავედ არ განიცდიან იმ ცვლილებებს, რომლებიც ახალმა თაობამ მოიტანა. მათ რიცხვს, უმეტესად, ახალგაზრდა მშობლები მიეკუთვნებიან. ყველა ოჯახში მშობელსა და შვილს შორის არსებული ურთიერთობა თავისებურად განსხვავებული და ინდივიდუალურია. ხშირია კონფლიქტები, რომლებსაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ბავშვები ზოგჯერ ისეთ რამეს აკეთებენ, რისი პატიებაც ძნელია მშობლების მხრიდან, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბავშვის საქციელს ხშირად მოეძებნება ახსნა. აღზრდის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები, ყველაფერი გააზრებულად და თანმიმდევრულად უნდა მოხდეს, რადგან პრობლემის საფუძველი შვილებისა და მშობლების „სამეტყველო ენათა“ სხვაობაა, რისი საფუძველიც ინდივიდუალურ პრიორიტეტთა სხვაობა და ამა თუ იმ საკითხის განსხვავებული კუთხით ხედვაა. ზოგადად, ეს პრობლემები ასე შეგვიძლია დავაჯგუფოთ:

გამოვყოფთ მშობლების რამდენიმე ტიპს:

პირველი ტიპი – ავტორიტარული მშობლები

ასეთ ოჯახში უფროსის სიტყვა კანონია. ბავშვი მკაცრ პირობებში იზრდება, ვალდებულია მშობლის ყველა მითითება უსიტყვოდ შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკაცრ სასჯელს ვერ ასცდება. ამ ტიპის ოჯახებში იშვიათია მოფერება, შექება, უშუალო, თბილი და ახლო ურთიერთობები. არის შემთხვევები, როდესაც მშობელს თქვენობითაც მიმართავენ. ეს ყველაფერი ბავშვის ფსიქოლოგიაზე აისახება. ის ყალიბდება ცივ, ნაკლებად ემოციურ, ჩაკეტილ ადამიანად. ხალხთან ურთიერთობისას უჭირს სიამოვნების მიღება, შესაძლოა ბოროტი მიზნებიც დაისახოს და საკუთარი უსიამოვნო გრძნობების პროვოცირება სხვაზე მოახდინოს.

მეორე ტიპი – ავტორიტეტული, იგივე დემოკრატიული მშობლები

ეს ე.წ. იდეალური ოჯახის ტიპს წარმოადგენს. მშობელსა და შვილს შორის ურთიერთგაგება და მეგობრობა სუფევს. ბავშვს აქვს უფლება, საკუთარი აზრი დააფიქსიროს, იგრძნოს სიტყვისა და ემოციის გამოხატვის თავისუფლება ოჯახში და შეუძლია განვითარდეს ისე, როგორც ჯანმრთელ, ნორმალურ ბავშვს შეეფერება. თუმცა, არსებული თავისუფლების მიუხედავად, ბავშვის ყოველ ქცევაში აისახება მშობლის ავტორიტეტი და მისდამი პატივისცემა. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვები კომუნიკაბელურები, ზრდილობიანები, კონკურენტუნარიანები, მხიარულები და მეგობრულები არიან.

მესამე ტიპი – ლიბერალი მშობლები

ამ შემთხვევაში, ბავშვს იმაზე მეტი უფლება ენიჭება, ვიდრე ასაკის მიხედვით ეკუთვნის. მშობლებს არ შესწევთ ძალა, შეეწინააღმდეგონ შვილის დაჟინებულ მოთხოვნებს, ბავშვი ხვდება ამას და უფრო და უფრო ინტენსიურად აგრძელებს ზეწოლას მშობლებზე. შედეგად, ოჯახის მმართველი ძალა ხდება ჭირვეული შვილი. ასეთი ბავშვები მაღალი თვითშეფასებით, სიამაყით, ლიდერობის მოთხოვნილებით ხასიათდებიან და ხშირად უჭირთ ახლო მეგობრების შეძენა.

მეოთხე ტიპი – ზემზრუნველი მშობელი

ეს მშობლები გასაქანს არ აძლევენ შვილებს, ყოველ ფეხის ნაბიჯს უკონტროლებენ, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი კარგად არის და გეგმის მიხედვით მიდის. შედეგად, ბავშვები ეჩვევიან გადამეტებულ მზრუნველობას, დამოკიდებული ხდებიან მშობლებზე და მათ გარეშე მარტივი გადაწყვეტილების მიღებაც კი უჭირთ. ამის გამო, ხშირად (ძირითადად ბიჭებს), მათ სკოლაშიც დასცინიან და მასხრად იგდებენ. მომავალში ასეთ ბავშვებს უჭირთ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და მშობლის შემცვლელს მეუღლეში ეძებენ. ხშირად ისინი ცხოვრების ბოლომდე ვერ ახერხებენ სხვაზე დამოკიდებულების მოთხოვნილებისგან თავის დაღწევას. ამის საპირისპირო მაგალითია

მეხუთე ტიპი – გულგრილი მშობელი

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მშობლები მეტისმეტად დაკავებულნი არიან საკუთარი კარიერული საქმიანობით და დიდად არ ადარდებთ შვილის მდგომარეობა. ბავშვის კითხვებს და თხოვნებს მარტივად, ზედაპირულად ისტუმრებენ და მისი პირადი ემოციებით არ ინტერესდებიან. ისინი, ბავშვის აღსაზრდელად, უმეტესად, მომვლელს ქირაობენ, თვითონ კი დესერტივით არიან, შვილებს იშვიათად აქვთ მათი „მიღების“ საშუალება, თუმცა მაინც ყველაზე მეტად უყვართ ისინი. აღზრდის ეს სტილი ბავშვს არასასურველობის გრძნობას უჩენს, უყალიბდება არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც, უმეტესწილად, ცხოვრების ბოლომდე განსაზღვრავს მის ქმედებებს.

ნათელია, რომ ბავშვის ქცევასა და მის ზრდა-განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს აღზრდის ტიპი და დამოკიდებულება მშობლების მხრიდან. ასე რომ, ყოველთვის, როდესაც მშობლები შვილის უდისციპლინო ქცევის გამო ჩივიან, უმჯობესია, დაფიქრდნენ, თვითონ ხომ არ არიან ამ ქცევის მიზეზი.

მშობლებისა და შვილების ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, სასურველია, მშობლები გაეცნონ ბავშვთა ფსიქოლოგის, ჰაიმ ჯ. ჯაინოტის წიგნს „მშობლები და შვილები“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ბესტსელერთა სიაში მოხვდა. ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს ყველა მშობელმა, რომელსაც სურს შვილის აღზრდის პროცესში, ნაკლები ძალისხმევის ფასად, მეტი შედეგი მიიღოს. წიგნი ისეთმა მშობელმაც უნდა წაიკითხოს, რომელიც ამჩნევს, რომ უჭირს ბავშვთან ყოველდღიურ ურთიერთობაში წამოჭრილი პრობლემების მართვა და ისეთმაც, ვინც განიცდის, რომ შვილის მიმართ უფრო მეტ რისხვას ამჟღავნებს, ვიდრე სიყვარულს. ეს წიგნი გახდება პრაქტიკული სახელმძღვანელო ყველა მშობლისთვის, რომელიც ცდილობს, ნაკლები შეცდომა დაუშვას ბავშვების აღზრდის რთულ საქმეში, რადგან ამ წიგნიდან ყველა ტიპის მშობელს შეუძლია მიიღოს მარტივი და ამომწურავი რჩევები, აღზრდასთან დაკავშირებული ყოველგვარი კონკრეტული შემთხვევის შესახებ.

ასევე, მშობლებს ვურჩევდი გაეცნონ დორის დორიეს რომანს „სასწაულს ხელი გაუწოდე“. რომანში, ერთი მხრივ, იხატება თავისუფალი ქალი, ინგრიდი, ჰიპური წარსულით და მისი ქალიშვილი, უცნაური სახელით – ეიფელ (დედამ სწორედ საზოგადოების მიმართ პროტესტის ნიშნად დაარქვა ქალიშვილს ეს სახელი). მათი ურთიერთობა წარმოაჩენს თაობათა შორის განსხვავებულობასა და დაპირისპირებას, რომელიც ვერ დაიძლევა, რადგან თანამედროვეობა თითქოს ყველანაირად უბიძგებს ადამიანებს არა დაახლოებისკენ, არამედ დაშორებისკენ. რომანში წამოჭრილია მშობლისა და შვილების გაუცხოების პრობლემა და აღწერილია ის გარემო, რომელშიც მოზარდს უწევს სამყაროს შეცნობა და განვითარება, შეცდომების, დაცემისა და წამოდგომის გზით, ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მოპოვება და თავისი წილი ბედნიერების შექმნა. მწერალი, ამ რომანით, მკითხველს აჯერებს, რომ სასწაული აქვეა, ოღონდ მის დასანახად გონებისა და სულის თვალის ახელაა საჭირო, ამიტომაც უნერგავს რწმენასა და გამბედაობას, რომ ხელი გაუწოდონ სასწაულს – სიყვარულს, რომელსაც სამყაროს შეცვლა და მარადიულ დღესასწაულად ქცევა შეუძლია. რომანის წაკითხვის შემდეგ, მკითხველს მსუბუქ მოგონებად დარჩება სიმღერის სიტყვები: „არ დაიღალო, სასწაულს ყოველთვის ჩუმად, როგორც ჩიტს, ხელი გაუწოდე“.

ბავშვის აღზრდა ხელოვნებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვს უნდა ასწავლო სწორად აღიქვას და შეაფასოს ესა თუ ის მოვლენა, რომელიც განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ გზას. ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრებაში სამი რამ არის: რწმენა, იმედი და სიყვარული. მათ შორის კი, ყველაზე მნიშვნელოვანია სიყვარული, რომელსაც დედა უნერგავს ბავშვს აღზრდის პროცესში. კვლევებმა აჩვენა, რომ შვილები, რომლებიც აღზრდილნი არიან ზომიერ ფარგლებში, ატარებენ დადებით თვისებებს და წარმატებულები არიან, ხოლო შვილები, რომლებიც ძალიან მკაცრად იზრდებიან, ხდებიან კრიმინალები ან ხშირად ცხოვრებას თვითმკვლელობით ასრულებენ.

რამდენიმე პრინციპი, როგორი უნდა იყოს მშობელი:

- მშობელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის მაგალითია შვილისთვის, ამიტომ უნდა ეცადოს, სხვადასხვა პრობლემის მიუხედავად, სილაღე და წონასწორობა შეინარჩუნოს.
- ოჯახში თუ ერთმანეთს პატივს არ სცემენ, მოზარდი უხეში, კარჩაკეტილი და ბოღმიანი ხდება.
- ბავშვმა არასოდეს არ უნდა იგრძნოს, რომ მშობელი დაბნეულია ან ეშინია, თორემ მას წინააღმდეგობრივი გრძნობა უჩნდება.
- მშობლების მიერ ნათქვამი ტყუილი ცუდ გავლენას ახდენს შვილებზე, ისინი ამით ავტორიტეტს ილახავენ შვილებთან.

ფსიქოლოგ რუსიკო ბერიძის აზრით, პირველი კრიზისი, რომელიც ხდება მშობელსა და შვილს შორის, 3 წლის ასაკიდან იწყება. ეს არის პირველი სიჯიუტის ასაკი, როდესაც ბავშვი მიიჩნევს, რომ უკვე დიდია. ითხოვს იმას, რომ რაღაც-რაღაცები დამოუკიდებლად აკეთოს, ამ დროს, მშობლებისთვის, ბავშვი ძალიან პატარაა და არ ანებებენ შვილს გააკეთოს რაც მას უნდა. ამ ასაკს ემთხვევა საბავშვო ბაღში წაყვანა. როდესაც მშობელს ბავშვი, პირველად, იძულებით მიჰყავს ბაღში, პატარას ჰგონია, ხშირ შემთხვევაში, ის იმიტომ წაიყვანეს, რომ თავისი დამოუკიდებლობით შეაწუხა მშობლები, იწყებს ენამოჩლექით ლაპარაკს, რომ მშობელს თავი შეაცოდოს და აღარ წაიყვანონ იქ.

ამის შემდეგ შედარებით მშვიდი პერიოდი დგება ბავშვის ცხოვრებაში და, მოგვიანებით, იწყება მეორე რთული ეტაპი – მოზარდობა. ეს პერიოდი, დაახლოებით, 11-12-დან 15-16 წლამდე ასაკს მოიცავს, როდესაც ბავშვი ჩამოყალიბებულია, უკვე იწყებს არა მხოლოდ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას, არამედ მიილტვის იმისაკენ, რომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს სამეგობრო წრეში და არა მხოლოდ დაიმკვიდროს ადგილი, არამედ ავტორიტეტიც ჰქონდეს. ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტი კონფლიქტებია, იგი არ უჯერებს მშობლებს, მასწავლებლებს და მიაჩნია, თუკი მშობელს დაუჯერებს და მის ჭკუაზე გაივლის, მეგობრები დასცინებენ და ცუდი ავტორიტეტი ექნება, დედიკოს ბიჭს ან მამიკოს ბიჭს დაუძახებენ. ამ დროს, ყველაზე მეტად მიმართავს ბავშვი ძალადობასაც, თავის წრეში ადგილი რომ დაიმკვიდროს.

შემდეგ მოდის ახალგაზრდობის, ჭაბუკობის პერიოდი, როდესაც ხშირია დაპირისპირება მშობლებსა და შვილებს შორის. კონფლიქტოლოგიაში ამას უწოდებენ ყველაზე უაზრო ოჯახურ კონფლიქტებს, როდესაც მიდის დავა, მაგალითად, ტანსაცმელზე – ის, რასაც იცვამს ახალგაზრდა, არ მოსწონს მშობელს, ახალგაზრდა კი ჯიუტად ცდილობს ჩაიცვას ის, რაც მოდურია და რაც ყველას აცვია.

ურთიერთობის რამდენიმე ფორმა არსებობს ოჯახებში:

1. **ჰიპომზრუნველობა**, რომლის გამოც მოზარდი თავს მარტოდ გრძნობს და უმცირდება საკუთარი „მნიშვნელოვნების“ შეგრძნება, ვლინდება თინეიჯერის მხრიდან მშობლისადმი სხვადასხვა „ისტერიული“ მოთხოვნებითა და ბრალდებებით, რომლებიც, მშობლების თვალით, საფუძველსაა მოკლებული.
2. **ჰიპერმზრუნველობა**, რომელსაც თინეიჯერი ოჯახურ დიქტატურად აღიქვამს, უყალიბდება არასრულფასოვნების კომპლექსი, იტანჯება სხვადასხვა სახის კოშმარული სიზმრებით, იწვევს ფრუსტრირებას და ემოციურად აღარიბებს მას. ხშირად თავს იჩენს კომუნიკაციის პრობლემები.
3. **„თაობათა ბრძოლა“** გამოწვეულია მშობელთა მხრიდან დროის ახალი გამოწვევების მიუღებლობით, ხოლო მოზარდთა მხრიდან „ძველი ღირებულებების“ განურჩეველი უგულებელყოფით. საკითხისადმი ორივე მხარის უკომპრომისო დამოკიდებულება იწვევს ფსიქოემოციურ დაძაბულობას, კონფლიქტებს და ერთმანეთისაგან გაუცხოვებას.
4. მშობლების მხრიდან **საკუთარი პასუხისმგებლობების შვილებზე გადატანის მცდელობა**, რაც მოზარდებში „მშობლების იმედების ვერ გამართლების შიშს“ ბადებს.
5. გარდატეხის ასაკში მოზარდი სამყაროს ახლებურ ხედვას იწყებს, ხდება **ძველი ცხოვრების გარკვეული ეტაპების გადაფასება** და მათზე ახალი, ძველისგან განსხვავებული შეხედულებების ჩამოყალიბება, საკუთარ ცხოვრებაში დანახული ნაკლოვანებების მწვავედ აღქმა და შეუგუებლობა, მშობლების ქცევების, აზრების მიუღებლობა.
6. **ბრძოლა ოჯახში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად**. მოზარდები, რომლებმაც, გარკვეული პირობების გამო, ვერ მოახერხეს თანატოლთა შორის სათანადო აღიარების მოპოვება, ცდილობენ ეს ნიშნული საკუთარ ოჯახში დაიკავონ, ხოლო მშობლები, მოზარდის პრობლემისადმი გულისხმიერი მიდგომის ნაცვლად, ხისტ წინააღმდეგობას უწევენ, „საკუთარი ადგილის დაკარგვის შიშით“.
7. **გაუთავებელი კონფლიქტები უფროსებს შორის**, რაც ხშირად ხდება თინეიჯერის თვალში მშობლის ავტორიტეტის დაკარგვის მიზეზი.
8. **მშობლების მცდელობა შვილების საშუალებით მოახდინონ საკუთარი განუხორციელებელი ოცნებების რეალიზება**, რაც მოზარდებში ბადებს პროტესტს და შემდგომში მძიმე განხეთქილების მიზეზი ხდება.
9. **მშობელმა მოზარდობის ასაკში უნდა იმეგობროს ბავშვთან**, შეძლებისდაგვარად მეტი დრო გაატაროს შვილთან, ისაუბრონ ერთსა და იმავე თემებზე, საკუთარი აზრი კი არ მოახვიოს შვილს, არამედ გააცნოს თავისი შეხედულებები და იმსჯელონ იმ საკითხებზე, რაც ბავშვს აინტერესებს.
10. **იდეალური ოჯახი არ არსებობს**, ისევე, როგორც არ არსებობს არაფერი იდეალური. ყველა ოჯახში ფიქრობენ, რომ აქვთ გარკვეული პრობლემა და, რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარე, ყველა ოჯახშია რაღაც შეუთანხმებლობა.
11. **გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება**, მთავარია, გადავდგათ ადეკვატური ნაბიჯები და მოვიქცეთ სწორად.
12. ნუ დაგვავიწყდება, რომ **მშობლები ჩვენთვის ყველაზე ახლო ადამიანები არიან** და მათზე მეტად არავინაა დაინტერესებული ჩვენი წარმატებით, კეთილდღეობითა და ბედნიერი მომავლით.

ერმალო ლანჩავა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მშობლებისა და შვილების ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორები. 6 აპრილი, 2017, ქეთევან ოსიაშვილი http://mastsavlebeli.ge/?p=13798;

2. მშობლებისათვის: http://phf.org.ge/ka/resources/konfliqti-mshobelsa-da-shvils-shoris/;

3. ჰაიმ ჯ. ჯაინოტი – „მშობლები და შვილები“;

4. დორის დორიე – „სასწაულს ხელი გაუწოდე“.

ინფორმაცია

სოფელ ქვეშში რეაბილიტირებული საჯარო სკოლა გაიხსნა

ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსებით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშში, რეაბილიტირებული სკოლა გაიხსნა, სადაც 247 მოსწავლე სწავლობს. საოკუპაციო ხაზიდან 1 კილომეტრის მოშორებით მდებარე სკოლის შენობა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს სრულად გარემონტდა 3-სართულიანი შენობა, განახლდა ინტერიერი, შეკეთდა კიბეები და სახურავი, განხორციელდა გარე ფასადის საიზოლაციო სამუშაოები, გარემონტდა საპირფარეშოები, დამონტაჟდა წყლის, საკანალიზაციო და გათბობის ახალი სისტემები და ელექტროგაყვანილობა, ასევე, მოეწყო სკოლის ეზო და შეკეთდა სანიაღვრე სისტემა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ჩხენკელმა**, აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელ **ელიზაბეთ რუდთან** ერთად, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვეშში, ახლად რეაბილიტირებული საჯარო სკოლის გახსნის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ელიზაბეთ რუდმა კიდევ ერთხელ მოუწოდა დე ფაქტო ხელისუფლებას, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე გახსნას გამშვები პუნქტები და ადგილობრივ მოსახლეობას მისცეს თავისუფალი გადაადგილების, სამედიცინო დახმარების მიღებისა და შიშისგან თავისუფალი ცხოვრების საშუალება: *„იმედი გვაქვს, რომ სკოლა გააძლიერებს ქვეშის თემს და დაეხმარება სოფლის მოსახლეობას, გადალახონ ის გამოწვევები, რაც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან ცხოვრებას უკავშირდება,“* – განაცხადა მან.

მიხეილ ჩხენკელმა სოფლისა და რეგიონის მოსახლეობას სკოლის განახლება მიულოცა: *„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან გავხსენით ახლად რეაბილიტირებული საჯარო სკოლა. ჩემთვის, როგორც საქართველოსა და აშშ-ს ორმაგი მოქალაქისთვის, განსაკუთრებით საამაყოა, რომ ეს პროექტი ამერიკელი ხალხის დახმარებით განხორციელდა. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ამერიკის მთავრობას, ამერიკის არმიის ინჟინერთა კორპუსს, ამერიკის საელჩოს ამ პროექტის განხორციელებისთვის. როგორც მოგეხსენებათ, განათლება და ახალგაზრდებზე ზრუნვა ჩვენი მთავრობის მთავარი პრიორიტეტია, რადგან მხოლოდ კარგად განათლებულ საზოგადოებას შეუძლია გაუმკლავდეს არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.“*

სოფელი ქვეშის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ფინანსურად აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული, კატასტროფისა და სამოქალაქო დახმარების (OHDACA) ფონდმა უზრუნველყო, აშშ-ს ევროპული სარდლობის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში.

აღნიშნულ პროექტზე ამერიკის მთავრობამ 2.5 მილიონი ლარი დახარჯა.

გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამა

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაზაზე, გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამა დაიწყო.

MIT-ს გლობალური სტარტაპ ლაბი, პირველად რეგიონში, BTU-ში გაიხსნა. ქვეყნის სამეწარმეო ეკოსისტემისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი 4 კვირის განმავლობაში გაგრძელდება და მასში 28 შერჩეული სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას.

გლობალური სტარტაპ ლაბი უნივერსიტეტში 4 კვირის განმავლობაში, 9 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით, იფუნქციონირებს და მობილური და ინტერნეტტექნოლოგიების სტარტაპ ინკუბატორის პროგრამას განახორციელებს. პროგრამის ფარგლებში, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები შერჩეულ კანდიდატებს, მეწარმეობასა და სტარტაპის ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით, გადაამზადებენ და მათ დემო დღისთვის მოამზადებენ, რომელიც 31 იანვარს გაიმართება.

„ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა“ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან (MIT) ურთიერთშეთანხმებას, აშშ-ში სპეციალური ვიზიტის ფარგლებში, 2 წლის წინ მიაღწია. უპრეცედენტო შეთანხმება საქართველოში მობილური აპლიკაციების შექმნას და მის საერთაშორისო ბაზრებზე კომერციალიზაციის მხარდაჭერას გულისხმობს.

გლობალური სტარტაპ ლაბის დეტალების შესახებ პრეზენტაცია BTU-ში გაიმართა, მხარეებმა პროექტის დეტალებზე ისაუბრეს. „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ რექტორი **ნინო ენუქიძე** ამბობს, რომ MIT-ის გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამის საქართველოში განხორციელება სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯია. *„MIT-ის გლობალური სტარტაპ ლაბი არის პროგრამა, რომელიც მსოფლიოს ნომერ პირველი, ყველაზე მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება. მას ახორციელებს ჯგუფი, რომელიც პრეაქსელერაციის პროგრამას გაატარებს არა მხოლოდ BTU-ს სტუდენტებს, არამედ საქართველოს მასშტაბით შერჩეულ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებსაც. პირველ რიგში, ჩვენ ძალიან ვამაყობთ და განსაკუთრებულად ველოდებით დემო დღეს, რომელიც პროგრამის დასასრულს გაიმართება. სწორედ დემო დღეზე აირჩევა გამარჯვებული სტარტაპი.“*

ღონისძიებას ესწრებოდა აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში **ელიზაბეთ რუდი**: *„მოხარული ვარ, რომ ამერიკულ და ქართულ უნივერსიტეტებს შორის წარმატებული პარტნიორობა ხორციელდება. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამა, დაარსების დღიდან, ტექნოლოგიების სფეროში ახალგაზრდა მეწარმეების წახალისებით უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას 25-ზე მეტ ქვეყანაში.*

ჩვენ დღეს ძალიან მოხარულები ვართ, რომ საქართველოს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტშიც“ განხორციელდება ეს პროგრამა. აშშ-ს საელჩო და USAID-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია, მრავალი წლის განმავლობაში, მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას, ეკონომიკურად განვითარდეს და ახალგაზრდების დაინტერესებას ბიზნესისა და მეწარმეობის კუთხით.“

MIT-ის გლობალური სტარტაპ ლაბის პროგრამა სრულად დაფინანსებულია „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ მიერ. MIT გლობალური სტარტაპ ლაბის მხარდამჭერია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, ოფიციალური პარტნიორები არიან „თიბისი სტარტაპერი“ და „სილქნეტი“.

სპორტი

ზამთრის თამაშების პირველი მედლები

ირაკლი თავაძე

9-22 იანვარს, შვეიცარიულ ლოზანაში, ზამთრის III ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, რომელიც თავის ისტორიაშიც რეკორდული აღმოჩნდა და ჩვენთვისაც: ამ ღონისძიების არცთუ ხანგრძლივ ისტორიაში პირველად მოვიპოვეთ მედლები, ბრინჯაო და ოქრო. თამაშები მონაწილეთა რაოდენობით სარეკორდო იყო – 79 ქვეყნის 1791 ათლეტი გამოდიოდა. ინსბურკის პირველ და ლილაჰამერის მეორე ანალოგიურ თამაშებთან შედარებით, საქართველოსაც რეკორდული მაჩვენებლის სპორტსმენი ჰყავდა – 10 სპორტსმენი სპორტის 4 სახეობაში. ამათგან ნახევარი ფიგურულ ციგურაობაში გამოდიოდა – **ალინა ურუშაძე** ინდივიდუალურ პირველობაში გამოდიოდა, **ლუკა ბერულავა** და **ალინა ბუტაევა** – წყვილებში, ხოლო **იულია ლებედევა-ბითაძე** და **მიხაელ კაიგოროდცევი** – სპორტულ ცეკვებში. ტრამპლინიდან ხტომაში **ესმერალდა გობოზოვა** ცდიდა ძალებს, სამთო თხილამურობაში – **ნინო კურტანიძე** და **ნოდარ კოზანაშვილი**, ხოლო **ლუკა** და **ლაშა მჭედლიანები** ციგაობაში ასპარეზობდნენ. აღსანიშნავია, რომ მჭედლიანები სვანეთში ვარჯიშობენ, ანუ ზამთრის სახეობებს კიდევ ერთი ცენტრი შეემატა, სადაც საკმაოდ კარგი სპორტსმენების აღზრდა შეიძლება. საერთოდაც, ამათი უმეტესობა საქართველოში ემზადება და აქაურ პირობებში მომზადებით მოიპოვეს ლოზანას საგზურები, ადრე კი ჩვენები ძირითადად უცხოეთში ემზადებოდნენ.

ამ ათეულიდან ყველაზე კარგად ლუკა ბერულავასა და ალინა ბუტაევას დუეტმა ისრიალა – მათ ჯერ ისტორიული ბრინჯაო მოიპოვეს წყვილებში ანუ გახდნენ პირველები, ვინც საქართველოს ამგვარ ღონისძიებაზე მედალი მოუტანეს, მერე კი ინტერნაციონალური გუნდის შემადგენლობაში სულაც ოქროს მედლებს დაეუფლნენ.

მათ ლოზანაში წარმატებული სტარტი აიღეს და პირველ დღეს, მოკლე პროგრამის შემდეგ, 59,14 ქულით მესამე ადგილზე იყვნენ, ჩამორჩნენ მხოლოდ რუსულ წყვილებს, თუმცა უკან მოიტოვეს აშშ-ს, კანადის, ჩინეთის, იაპონიის, უკრაინის, გერმანიისა და სხვა ძლიერი ქვეყნების წარმომადგენლები. ვითარება არც მეორე გამოსვლის – თავისუფალი პროგრამის შემდეგ შეცვლილა, სადაც 98.15 ქულა დააგროვეს და ისევ მესამენი იყვნენ. ჯამში, 157.29 ქულა დაუგროვდათ და ბრინჯაოს დაეუფლნენ, წინ კი ისევ ის ორი რუსული წყვილი გაუშვეს და მეტი არავინ.

ამის შემდეგ ჩვენებმა შერეული გუნდის შემადგენლობაში გაიმარჯვეს, რომელიც მოცეკვავე და სპორტული წყვილების, გოგონათა და ვაჟთა ერთეულთა თანრიგის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. ჩვენებთან ერთად გამარჯვებულ გუნდში შედიოდნენ ესტონეთის, რუსეთისა და იაპონიის გუნდების წევრებიც.

ჩვენი დანარჩენი სპორტსმენებიდან ყველაზე კარგად ალინა ურუშაძე გამოვიდა – ის მოკლე პროგრამაშიც მეხუთე იყო და თავისუფალშიც, შედეგად კი საბოლოოდაც მეხუთეზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენების მედლებს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ოფიციალური საიტიც გამოეხმაურა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველომ და ისრაელმა ზამთრის თამაშებზე პირველი მედლები მოიპოვეს. საბედნიეროდ, ბოლო წლებში, საქართველოში ზამთრის სპორტის სახეობები მართლაც აღმავლობის გზაზეა, რასაც სხვადასხვა ასაკში მოპოვებული არაერთი სინჯის მედალი მოწმობს. ჯერჯერობით ეს წარმატებები, ძირითადად, ფიგურულ ციგურაობაზე მოდის, თუმცა დადებითი ძვრები სხვა სახეობებშიც შეინიშნება. უკვე გაჩნდა იმედი იმისა, რომ მალე დიდ ოლიმპიადებზეც აღარ ვიქნებით მხოლოდ მონაწილეთა როლში და მედლებისთვის დავაშიც ჩავერევით, მანამ კი საქართველო ევროპის ზამთრის 2025 წლის თამაშების მასპინძლობისთვის იბრძოლებს – ზემდგომ ინსტანციაში განაცხადი უკვე გაგზავნილია.

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი



9 ლარი

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე



4 ლარი

თამაზ ვასაძე ქართული ენიერატურული პროზა ლიტერატურის მასწავლელთათვის



12 ლარი

თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40₾

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი

19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა

15 ლარი

სიახლე

8 ლარი

პროფესიული უნარები
300 მნიშვნელოვანი კითხვა-პასუხებით

კითხვა-პასუხის კონცეფციაზე აგებული გზამკვლევი დაეხმარება სტუდენტებს, დამწყებ მასწავლებლებს, პრაქტიკოს მასწავლებლებს, განსაკუთრებით გამოცდაზე გამსვლელ მასწავლებლებს მასალის გამეორებაში.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლ.) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

7 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი